№ 67
ხუთშაბათი, 28 მარტი 1902 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

,,ივერიის'' ტელეფონი № 227.

1877—1902

ივერია

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 67
ხუთშაბათი, 28 მარტი 1902 წ.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც.
საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონ პირველ გვერდზედ 10 კაპ.
მეოთხე ხუზედ—5 კაპ.

,,ივერიის'' ტელეფონი № 227.

1 აპრილიდგან წლის დამლევამდე გაზეთი
„ივერია“

ღირს **რვა მანეთად** (8 მ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—,,ივერიის'' რედაქცია (ნიკოლოოზის ქუჩა № 21) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზია.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ.,ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“. ტელეფონი № 227.

წლიური ჩვეულებრივი საზოგადო კრება
ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა

დანიშნულია 6 აპრილს, შაბათს, დილის ათ საათზე, ს. კუხს, ამხანაგობის სამმართველოში. საგნები კრებისა: 1) 1900 და 1901 წლების ანგარიშების დამტკიცება; 2) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა სამინისტროსაგან დამტკიცებულის წესდების თანახმად; 3) 1902 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება; 4) ამხანაგობის მმართველის მიერ წარმოდგენილ მოსაზრების განხილვა ორის წლით, საცდელად, წარმომადგენელთა საზოგადო კრების შემოღების შესახებ; 5) გამგეობისადმი მინდობა ამხანაგობის აღებ-მიცემობისათვის ფულის სესხებისა და 6) ამხანაგობათა კავშირის წესდების შემუშავებისა და დასამტკიცებლად წარდგენის მინდობა გამგეობისადმი სხვა ამხანაგობათა წარმომადგენლებთან შეთანხმებით.

(10—6.—2) ამხანაგობის მმართველი **ნესტორ წერეთელი.**

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის

წარმომადგენელი აცხადებს ამხანაგობის წევრთა საყურადღებოდ, რომ ტფილისში კვირას, 31 მარტს, 1902 წ. დილის 10 საათზე, სამეურნეო ბანკის სადგომში (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლში) დანიშნულია წევრთა

საზოგადო წლიური კრება.

ვინიცობაა დანიშნულ დღეს წევრთა კანონიერი რიცხვი არ გამოცხადდა და კრება არ შესდგა, იგი გადიდება შემდეგის კვირის, 7 აპრილისათვის, და კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

განსახილველი შემდეგი საგნებია:

1) განხილვა და დამტკიცება ამხანაგობას 1-ლ წლის მოქმედების ანგარიშისა.
2) განხილვა და დამტკიცება ხარჯთ-აღრიცხვისა 1902 წლისთვის.
3) ამხანაგობის წესდების გადასინჯვა-შეცვლა და დამატება ზოგიერთ პარაგრაფისა.
4) ამხანაგობის ძირის თანხის გაძლიერება და საზოგადოდ მოსაზრებანი საქმის უკეთესად წარმოებისათვის.
5) მოსაზრება იმაზე, თუ რამდენად მოსახერხებელი იქნება ამხანაგობის სააქციონერო საზოგადოებად გადაკეთება.
6) არჩევანი გამგეობის ორის წევრისა და მათის კანდიდატებისა, საბჭოს ხუთის წევრისა და მათის კანდიდატებისა. (3—6.—3)

საშკერვალო
ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად

ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

ტფილისი. წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა.**
(13—287—7)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე ს-აექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერ-ოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. (წ.)

ექიმი
ვახტანგ ღამბაშიძე

სწამლობს შინაგანსა და საბავშვო სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილის 9 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5-დგან 7-მდე. რეუტის ქუჩა, № 24. ტელეფონი № 642. (წ.)

ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი მოიწვევს მაზრის თავად-აზნაურთ **საგანგებო სამაზრო კრებაზედ**

ამა მარტის 31, კვირას, დილის 10 საათზედ, თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში.

საგნები განხილვისა:

1. რა დანიშნულებითა და რა წესით იქმნას დახარჯული უმაღლესად ნაბოძები 40 ათასი მანეთი ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მოზარდ თაობის აღსაზრდელად

და 2. რა დღისათვის იქმნას მოწოდებული მორიგი კრება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობისა. (3—6.—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 ს., გარდა ხუთშაბათისა და შაბათისა.

ე. ზ. ფლოროვი—შინაგან და ბავშვებისა 9—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

ვ. ღ. ღამბაშიძე—შინაგან ავადმყოფობათა 10—11 საათ., სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი, 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

სტ. ა. ვოინო—ხირურგია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა, 5—6 საათ. მიკრო-ქიმიური და საბაქტეროლოგო გამოკვლევანი.

გ. ს. დავიდოვი—ბავშვებისა და შინაგან სნეულებათა, 7—8 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ყელისა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ ,,მასსაჟს'', აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, თვალისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

კ. ი. ბძელიშვილი. 5—6 ს. ყურისა, თვალისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6 7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.

გ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасаріанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.)

ქართული თეატრი.

შაბათს, 30 მარტს, ტფილისის სათავად-აზნაურო თეატრში გამართული იქნება

კონცერტი,

რომელშიაც იმღერებს, გურულ ტანისამოსში გამოწყობილი, ხიარო გურულს, ქართულს, მეგრულს, იმერულს და კახურს სიმღერებს. მათ შორის აღასრულებს ორ-სართულიან ფერხულს და მეგრულს ნადურს თოხნით, ისე, როგორც ნამდვილ ყანაში.

დასაწყისი საღამოს 9 საათზედ.

(3—უ.—1)

ახალი ამბავი

—

◆ ჩვენს ცნობილს ქველმომქმედს სტეფანე კონსტანტინეს ძეს ზუბალაშვილს გამოუგზავნია „ჯეჯილის“ რედაქციისათვის 200 მ., რომ ამ ფულით წრევანდელი ნომრები „ჯეჯილისა“ გაეგზავნოს საქართველოს ღარიბ სკოლებს. ამავე საგნისათვის იაკობ გოგებაშვილს გადაუცია „ჯეჯილისავე“ რედაქციისათვის 100 მ.

◆ ვ. აბაშიძეს, 25 წლის იუბილეის გამო, საჩუქარი მისის ნიჭის დამფასებელ სოხუმელ ქართველთაგანაც მოუვიდა. მიიღო საპაპიროსე და ჰიქის ჩასადგმელი, ორივე ვერცხლისა.

◆ ივანე როსტომაშვილის სამეურნეო სასწავლებელში შესვლა უკვე 20 ყმაწვილს განუზრახავს. პრაქტიკულ მუშაობათათვას საჭირო ადგილი, ათი დესეტინა, დაუთმია საბურთალოზე პატივცემულს მემამულეს ვ. ი. გაბაშვილს. სწავლა დაიწყება აპრილის პირველ რიცხვებში. მასწავლებლებად მიწვეულნი არიან: სწავლული მებაღე მიხეილ ადამაშვილი (ყირიმის ნიკიტის საბაღოსნო სკოლაში ნასწავლი) და სწავლული მეფუტკრე პავლე სლოხოვი.

◆ სად. ხაშურიდგან ბათუმამდე რკინის გზის მეორე ლიანდაგის გასაყვანად მიმართულების გამოკვლევას, როგორც „ცნ. ფურ.'' გაუგია, მომავალ თვიდგან შეუდგებიან. გამომკვლეველნი ოთხ ჯგუფად იქნებიან დაყოფილნი, უფროს ხელმძღვანელად დანიშნულია ამიერ-კავკასიის რკინის გზის რემონტის უფროსის თანაშემწე ინჟენერი იაკშიჩი. გამოკვლევა ამ ზაფხულსავე უნდა დასრულდეს, რომ, როგორც განზრახვა აქვთ, მომავალ ზაფხულს თვით ლიანდაგის გაყვანას შეუდგნენ.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა ბ-ნმა ივანოვსკიმ განკარგულება მოახდინა, რომ რკინის გზის სამმართველოს ყველა მოსამსახურე, თანამდებობის განურჩეველად, სამსახურში სწორედ დილის 9 საათზე მოდიოდეს და მეცადინეობის მთელს დროს სამსახურის საქმეს ანდომებდეს. თვით ბ-ნი ივანოვსკი სამსახურში დილის 9 საათზე მოდის.

◆ ჩვენის გაზეთის წინანდელ ნომერში მოხსენებული გვქონდა, რომ უკვალოთ დაიკარგა 17 წლის ვაჟი ა—რისა. დღეს გვატყობინებენ, რომ პოლიციას უკვე უნახავს ეს ყმაწვილი.

◆ ბორჩალოს მაზრაში ს. ბოლნისში ამ თვის 19-ს იქაურის მცხოვრების გრ. ბაღდასაროვის ვენახში ვიღაც ბოროტ-მოქმედთ აუჩეხიათ 5,970 ძირი ვაზი.

◆ ს. აწყურის ხიდი რამდენი ხანია რაც მტკვარმა წაიღო წყალდიდობის დროს და მას აქეთ ახალი ჯერ არ გაუკეთებიათ. ამ გარემოებამ დიდი ნივთიერი ზარალი მისცა აქაურობას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ხიდი 33 ვერსით ამოკლებს ბორჯომ-ახალქალაქის გზას და აუცილებელს საჭიროებას წარმოადგენს ოც და თვრამეტ სოფლისათვის. ზოგს მათგანს ყანები აქვს მტკვრის მარცხენა ნაპირზე და ამ უხიდობის დროს მუშამ ოცდა-ათი ვერსი უნდა შემოიაროს, რომ მინაძის ხიდით თავისს ყანაში მივიდეს.

◆ კვირას, 24 მარტს, ტფილისის სასულიერო სემინარიაში წირვის შემდეგ მისის მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის ალექსის თავმჯდომარეობით შესდგა კრება სემინარიის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ ძმობის წევრებისა.

1901 წლის ანგარიშისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შემდეგ მიღებულ იქმნენ ზოგიერთი წევრები. ბოლოს ძმობას შესწირეს: საქართველოს ექსარხოსმა ალექსიმ 50 მ., არქიმანდრიტმა არისტარქმა 50 მ. სემინარიის რექტორმა არქიმანდრიტმა ნიკანდრმა —25 მ. და სხვებმა სულ 200 მანეთი.

◆ „საქართველოს საეკ. სასულიერო მოამბე“-ში დაბეჭდილია შემდეგი უმაღლესი ბრძანება სასულიერო უწყების სასწავლებლებში საეკკლესიო გალობის მასწავლებელთათვის სახელმწიფო სამსახურის უფლებათა მინიჭების შესახებ. „სახელმწიფო საბჭომ, განსაჯა-რა კანონთა და საზოგადო კრების დეპარტამენტში უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორის მიერ წარდგენილი მოხსენება სასულიერო უწყების სასწავლებლებში საეკკლესიო გალობის მასწავლებელთათვის სახელმწიფო სამსახურის უფლებათა მინიჭების შესახებ, დაადგინა: არსებულ კანონების შესაცვლელად და დასამატებლად დადგენილ იქმნას 1) სასულიერო სემინარიასა, სასწავლებელსა, სასულიერო უწყების და საეპარქიო დედათა სასწავლებლებში საეკკლესიო გალობის მასწავლებელთ, რომელთაც მიღებული აქვთ არა ნაკლებ საშუალო განათლებისა, თუ ზემოხსენებულ სასწავლებლებში ნორმალურის ნუსხით დადგენილი რიცხვი საეკკლესიო გალობის გაკვეთილებისა აქვთ და სემინარიის ან სასწავლებლის მგალობელთა გუნდს ლოტბარობენ, მიენიჭებათ ყველა უფლებები სახელმწიფო სამსახურისა და ჩარიცხულ იქნებიან თანამდებობის მე-X კლასში და მიენიჭებათ მე-X ხარისხის სამსახურის ტანისამოსი, აგრეთვე ოთხის წლის სამსახურის შემდეგ დამტკიცებულ იქმნებიან თანამდებობის შესაფერ ხარისხში უფროსობით და უფლება მიეცემათ მიაღწიონ მე-VII კლასის ხარისხამდის; 2) სასულიერო სემინარიასა, სასწავლებელსა და სასულიერო უწყების დედათა სასწავლებელში საეკკლესიო გალობის მასწავლებელთ, თუ იგინი პირველ მუხლში მოხსენებულ პირობებს დააკმაყოფილებენ, მიენიჭებათ უფლება მიიღონ პენსია 200 მან. და აგრეთვე ერთ-დროებითი დახმარება ზემოხსენებულ თანხიდგან („საქ. საეკ. სას. მოამბე''.)

◆ სახაზინო პალატებისათვის ფინანსთა სამინისტროს განუმარტებია, რომ თანახმად 1900 წლის ივნისის 12-ს გამოცემულის კანონისა, თუ აღმოჩნდა, რომ გადასახად-გაწერილ მიწების ზომა შეცდომით არის ნაჩვენები, ასეთი შეცდომა უნდა გასწორდეს და მისის მიხედვით გაწერილი გადასახადის რაოდენობა უნდა შეიცვალოს შემდეგს წელიწადში და არა იმ წელსვე, როცა შეცდომა გამომჟღავნდება.

◆ მცხეთელებსა და წეროვნელებს შორის მიწის გამო დავის გამოსარკვევად სახელმწიფო ქონებათა გამგეობას გაუგზავნია სახ. ქონებათა მმართველის თანაშემწე ბ-ნი ტრიპოლსკი და ტყის რევიზორი ბ-ნი კუზმინი.

◆ ბაქოს ქალაქის თავის არჩევანი დაუნიშნავთ მომავალ თვის 9-ს.

◆ „ნოვოსტი''-ს გაუგია, რომ რკინის გზების ცნობილი გამყვანი ს. ი. მამონტოვი, ამას წინად შეუძლებელ მოვალედ ცნობილი, კვლავ უბრუნდება თავისს საქმეს დ აპირებს მონაწილეობა მიიღოს კავკასიაში ახალ რკინის გზების გაყვანაში.

◆ მცირე-წლოვან დამნაშავეთა სამეურნეო და სახელოსნო ახალშენისა და თავ-შესაფართა საზოგადოების გამგეობა მადლობას სწირავს შემდეგ პირთ, რომელთაც შემოუწირავთ: ნოტარიუსებს ივანოვს—100 მ., ანჯაფარიძეს—25 მ., პილაევს—5 მან., ჯიქიას —5 მ., ონქელიას—5 მ., ბათომში როტშილდის ქარხნის მმართველს ა. ვანშეიდს—100 მ., შავი-ქვის მრეწველ ია კრების საბჭოს 100 მან; შიბაევის ფირმას—50 მან., ნიდერლანდიის კონსულს ბლეის—50 მ., ფოთის ბოღაზში მუშაობის გამგეს მაიერს—50 მ., ვ. ფ. გრიელსკის—50 მ., ზ. ოჰანეზოვს—25 მ., ვ. სკარჟინსკის—20 მან., პ. სამანჯის—15 მ., მ. ტომარას—10 მ., თავ. ს. ნ. ლორთქიფანიძეს, პ. მხეიძეს, კ. ლორთქიფანიძეს, პ. თუმანიშვილს, მ. ქუთათელაძეს, დ. ბაქრაძეს, ლ. კოკოჩევს და გრ. კემულარიას თითო თუმანი, გენ.-ლეიტ. პ. ო. მიქელაძეს—3 მ. სულ შემოვიდა 701 მ.

◆ ამას წინად, საგურამოს ქუჩაზედ, ალ. მირ—შვილის სახლის ეზოდან ვიღაც ქურდ-ბაცაცებმა 60 მანეთის სარეცხი მოიპარეს. ამავე მირ—შვილის სახლს, როდესაც თვითონ შინ არ იყვნენ, დამის ათ საათზედ სწვევია ვიღაც ევროპიულად ჩაცმული ახალგაზდა კაცი, დაურეკია ზარი, გამოსულა მოსამსახურე დედაკაცი. ალ. მირ—შვილი აქა სდგასო, უკითხავს უცხოს. აქ სდგას, მაგრამ ეხლა შინ არ არისო, უპასუხნია დედაკაცს. მე მაგათი ნათესავი ვარო, სხვა ქვეყნიდამ მოსული და უსათუოდ მინდა იმათი ნახვაო. გამიღე კარები და სახლში მოვუცდიო. რადგან დედაკაცი კარგა ხანი ემსახურება მირ—შვილს, თურმე გულში გაივლო, რომ მე ეს არ მინახავსო ჯერ იმათ სახლში და ჰკითხა გვარი. უცნობმა გვარი არ უთხრა და ბრძანებით შეუტია, რომ შენ რაში გეკითხება ჩემი გვარი, კარები გამიღე და მე მოვუცდი იმათაო. თუ თქვენ იმათი ნათესავი ხართ მათი სახელები მითხარითო უთქვამს დედაკაცს. ისე დიდი ხანია, რაც არ მინახავს, რომ დამვიწყდაო, უპასუხნია უცნობს. დედაკაცს ჩაუკეტნია კარები და მიუძახნია: შენ კაი კაცი არა ხარ, დაიკარგე აქედამაო. დედაკაცს, როდესაც დაუყვირია მეზობლებისათვის, უცნობი მაშინ გაქცეულა. აშკარად სჩანს, რომ ბოროტ-განზრახულობით მოსულა ის კაცი. როგორც ეტყობა, ველარც მეეზოვეები ჰშველიან ამ საქმეების მოსპობას და ველარც პოლიცია, რადგან სწორედ იმ ქუჩაზედ სინთლითაც ვერ იპოვით ვერც ერთს და ვერც მეორეს.

◆ ქალაქის გამგეობა აცხადებს ქალაქის მცხოვრებთათვის, რომ ის, ვინც დაბადა 1880 წლის 1 ოქტომბრიდან ვიდრე 1881 წლის 1 ოქტომბრამდე, უნდა გამოცხადდეს და წარმოადგინოს თავისი მეტრიკა, მხოლოდ 1 აპრილამდე, რომ ჩაირიცხოს სამხედრო ბეგრის ახალგაზდათა გაყვანის სიაში.

◆ ქალაქის საყასბო დუქნის შენობის რემონტს და მოწყობას უკვე შეუდგნენ. საყასბო დუქანი მზად იქნება და დაიწყებს მოქმედებას არა უგვიანეს 25 აპრილისა.

—

შეცდომის გასწორება: „ივერიის“ გუშინდელს ნომერში დაბეჭდილია ცალკე წერილად ახალ ამბების შემდეგ: “ხმოსანთა კერძო კრება“. უნდა იყოს: „ხმოსანთა ამომრჩეველების კრება.“ იმავე ნომერში, ტფილისის სამეურნეო ბანკის წევრთა კრების ანგარიშში დაბეჭდილია:... განიხილეს წინადადება გრ. შაჰბუდაღოვისა სათადარიგო თანხის დაარსების შესახებ. უნდა იყოს:... წინადადება საბჭოსი და გამგეობისა.

მცირე-წლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ ახალშენის მზრუნველ საზოგადოების წევრთა კრება.

გამგეობის მოხსენებიდგან სჩანს, რომ 1901 წელს საზოგადოებას კარგად ვერ მიუღწევია თავის მიზნისათვის. პირველი საქმის დამაქვეითებელი მიზეზი ყოფილა დირექტორების ხშირი გამოცვლა. ყოველ დირექტორს ახალშენში ახალი მეთოდი შეუტანია და ეს გარემოება, რასაკვირველია, ძალიან აფერხებდა მოსწავლეთა აღზრდის საქმეს.

ამას გარდა, საქმის წინ-მსვლელობისთვის ხელი შეუშლია იმ გარემოებასაც, რომ დამნაშავეთა შორის ბევრი 16-ის წლისა შემოსულა ახალშენში. ამ ზნეობით გაფუჭებულ ყმაწვილ კაცების გასწორება თვრამეტ წლამდის (თვრამეტ წელს იქით წესდების ძალით დამნაშავე თავისუფლდება) მეტად ძნელია. ამის გამო გამგეობამ ითხოვა წესდების მეორე მუხლის შეცვლა, რომლის ძალით დამნაშავე ყმაწვილები თვრამეტ წლამდის უნდა მიღებულ იქმნენო,—ამნაირად: დამნაშავე ყმაწვილი 14 წლისაზე მეტი არ უნდა იყვეს მიღებული ახალშენში. კრებამ შეიწყნარა გამგეობის თხოვნა და დაადგინა იშუამდგომლოს ამაზე მინისტრის წინაშეო.

ახალშენის ყმაწვილებს მონაწილეობა მიუღიათ კავკასიის საიუბილეო გამოფენაში და მათის შეკერილის ფეხთსაცმელისათვის დაჯილდოვებულან ვერცხლის მედალით.

1901 წელს წყლის მილის გაყვანისა, რომელიც საზოგადოებას დასჯდომია 9500 მანეთი, გადაუხდელი ყოფილა 1144 მან.

გამგეობამ აღნიშნა აგრეთვე თამამშოვის და თალიევის თანაგრძნობა: პირველს 3000 მანეთი შეუწირავს ახალშენისთვის, ხოლო მეორეს 1000 მან., და ამას გარდა შეუკრებია ახალშენისათვის 1250 მანეთი.

საანგარიშო წელს საზოგადოებას შემოსავალი ჰქონია 31,827 მან. 8 კაპ., გასავალი ხაზინისა—5819 მ. 70 კ., ახალშენისა—23,101 მან. 78 კ., სულ 28,921 მ. 48 კ., 1902 წელს მოსალოდნელი შემოსავალი 26,925 მ. 60½ კ., გასავალი—26,686 მან. საანგარიშო წლის 1-ლ იანვარს 69 ყმაწვილი ყოფილა ახალშენში. სარწმუნოებით შეგირდები იყვნენ: ებრაელი—1; მართლ-მადიდებელი 38; სომეხ-გრიგორიანი—38; კათოლიკე—4; თათარი—5; წლის განმავლობაში ერთი მკვლელობა მომხდარა, ჩხუბი 35, ქურდობა—7, სიმთვრალე—8 და სხვ.

წერილი რიონ-გალმის მხრიდგან.

„ივერიის“ მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ს. ამაღლებაში აგერ მეხუთე წელიწადია, რაც არსებობს მეორე-კლასიანი საეკკლესიო-სამასწავლებელო სკოლა, მაგრამ ეს სკოლა ჯერ კიდევ ფეხ-დაუმაგრებელია და ყოველ წელს რყევაშია: მთავრობას ვერ გადაუწყვეტია, აქვე დასტოვონ, თუ სხვაგან გადაიტანონ. მიზეზი ამისა გახლავთ, პირველი, საზოგადოების გულ-გრილობა, რომელმაც აღთქმული შეწირულება ამ სკოლისათვის საქმით აღარ განახორციელა და, მეორე, მასწავლებელთა შორის უთანხმოება, თავიანთ მოვალეობის გულ-გრილად შესრულება და მოსწავლეთა მიღების დროს სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედების ბრალდება, რამაც გამოიწვია საზოგადოების მიერ საჩივრები სასულიერო მთავრობის წინაშე; ამის გამო სასულიერო მთავრობამ დანიშნა გამოძიება, რომელიც მიანდო სამოსწავლო საბჭოს წევრთ ქ. ქუთაისის მღვდლებს ს. ლექვეიშვილს და მათიკაშვილს; ხსენებულნი გამომძიებელნი ამას წინად ადგილობრივ მობრძანდნენ სასწავლებელში, გამოიძიეს ყოველივე და შეადგინეს ოქმი უმაღლეს მთავრობასთან წარსადგენად; გამოძიება დღესაც სწარმოებს. რით გათავდება საქმე ან რა ელის ჩვენს სულთ-მობრძავ სამასწავლებლო სკოლას, ჯერ არაფერი ვიცით. ხმა-კი დადის, რომ ვითომ დ. ბაღდადელები იწვევენ სკოლას და მთავრობასაც ჰკავაში მოსდის სკოლის იქ გადატანაო! ხმა დადის-კი არა, კიდევაც ცხადად სჩანს ესა, რადგან ჯერ კიდევ სკოლას საკუთარი შენობა არა აქვს და უბინაოდ არის. ნ-უ-თუ ხუთის წლის განმავლობაში სკოლის შენობა არ აშენდებოდა!? სკოლას უნდა, ბატონებო, გულ-მოდგინე პატრონი, თორემ მუდამ ავადმყოფივით იქნება. სოფელ ამაღლებაში გადმოყვანილ იქმნა ახლა სვანეთიდგან იქ ბლაღოჩინად ნამყოფი მღვდელი მჭედლიძე. დარწმუნებული ვართ, რომ ეს მღვდელი დანიშნულ იქნება აგრეთვე სკოლის მმართველად და თავისს მოქმედებით დასდებს რაიმე წამალს სნეულს სკოლას. თორემ საბრალო სკოლა საცოდავად კვნესის:

«ახალ-გაზრდა, ჯანით სავსე
გამოვედი გაღმა მხარეს.
პირველ ყველამ შემომცინა,
„მობრძანდიო!“ მომაძახეს...

—

დიდ იმედებს ვიძლეოდი,
სიტყვით ყველა დამეხმარა;
მაგრამ გაჩნდა „ბოროტება“
და მე აღარ გამახარა.

—

დავსნეულდი, დავძაბუნდი,
სულ უდროვოდ დავბერდიო;
როს მხედავენ მისუსტებულს,
ეხლა ყველას მოვბეზრდიო.

—

„აქლემები წაიკიდნენ,
კოზაკი-კი გასრისესო!“
სწორედ ასე დამემართა
„რიონ-გალმისა მხარესო».

გორას საზოგადოების სოფლის სამმართველო დღემდე იდგა მეტად მიყრუებულ ადგილას; დიდი ხანია სცდილობდა, როგორც ადგილობრივი მთავრობა, აგრეთვე მაზრის ადმინისტრაცია, რომ სამმართველო გადმოეტანათ ს. ამაღლებაში იარმუკასთან, რომელიც არის ბაღდად-ორპირის გზის პირად კარგ ალაგას, მაგრამ საზოგადოება ვერ შესთანხმდა; ბოლოს საგუბერნიო მმართველობის გადაწყვეტილებით გორას საზოგადოების მამასახლისმა მ. ძიგრაშვილმა, თუმცა ნახევარი საზოგადოება მაინც არ იყო თანახმა, გადმოატანინა სოფლის სამმართველო აღნიშნულ ადგილზედ. ამის გამო მამასახლისზე საჩივრები გაჰგზავნეს, მობრძანდნენ ქუთაისის მაზრის უფროსის თანაშემწე და ბაღდადის ნაწილის ბოქაული პ. ვაშალომიძე, გამოიძიეს საქმე და ყოველივე საჩივარი სიმართლეს მოკლებული აღმოჩნდა.

ს. ამაღლებაში აზ. ნაკაშიძეებს ჩხუბი მოუვიდათ. ჩხუბში ერთმა დასჭრა მეორე რევოლვერით; დაჭრილის მორჩენის იმედი აქვთ; გამოძიება სწარმოებს.

რვა მარტიდგან დაწყებული ჩვენსკენ მშვენიერი გაზაფხულის დღეები სდგას; ბჟოლა და ხეხილი გამოვიდა, ხალხი მუშაობას შეუდგა და შინაური საქონელი ამწვანებულ მინდორველს მოედო.

ვლადო ბზვანელი.

დაბა და სოფელი

—

სოფ. წინანდალი (თელავის მაზრა). მრავალს ერს, საზოგადოებას და წოდებას მრავალი სიხარული, ბედნიერება და სიამოვნება მიჰგვარა და მიანიჭა მე-XIX-ტე საუკუნის დასასრულმა და, ვინ იცის, კიდევ რამდენს მიუწყავს დასაწყისი მე-XX საუკუნისა. ღმერთმა ინებოს, რომ ასეც ყოფილიყოს... უნებლიედ ჰსიამოვნებ, როდესაც გესმის, ანუ უკეთ ვსთქვათ, საკუთარის თვალით ჰხედავ შენის თანამოზიარე და მოძმე ქართველ კაცის კეთილ წინმსვლელობას, მის ჩარხის წაღმა ტრიალს, უნებლიედ სიამოვნებ, როცა გლეხ-კაცი მრავალ წვალება-ვაების შემდეგ გამოსულა უმეცრების მორევიდგან და დასდგომია გზასა კეთილ დღეობისა და ნაყოფიერებისასა. იშვიათად თუ იქნება რომელიმე ნომერი გაზეთისა, რომ არ ეწეროს თანდათანობითი წინმსვლელობა სწავლა-განათლებისა ჩვენს შორის. ერთგან სასწავლებლებს ხსნიან, მეორედგან წიგნთ-საცავ-სამკითხველოს აარსებენ, მესამედგან წარმოდგენებსა ჰმართვენ ღარიბთა და დავრდომილთა შესაწევად, მეოთხედგან საავადმყოფოებსა და უმოწყალოთა თავშესაფარსა ჰმართავენ, მეხუთედგან მკურნალებს იწერენ და აფთიაქებს ჰხსნიან და, ვინ იცის, კიდევ რამდენი საქველ-მოქმედო საქმეები არ კეთდება.

მეტი თუ არა, ნაკლები არ იქნება, ახლა ჩვენი ამბავიც მოისმინოთ. 11 წელზე მეტი თუ არა, ნაკლები არ იქნება, რაც აქ სამრევლო სასწავლებელი არსებობს. სასწავლებელი მოთავსებულია ძველს ეკკლესიაში, სადაც სიბნელეს, სიცივეს და დახშულს-მაზარალებელს ჰაერს კარგის მეგობრებივით მოუყრიათ თავი. თუმცა ბუხარი აქვს, მაგრამ შიგ ცეცხლი ვერ აგვინთია, რადგან ბოლი ისევ შიგნითვე ტრიალებს. ამის გამო ბალღებს ისე სცივათ ხოლმე (მომეტებული ნაწილი მათ შორის ფეხშიშვლები დაიარებიან), რომ იმათ კბილების კაწკაწს ადამიანი გარეთ გაიგებს. ამის გამო აქაური ბლაღოჩინი მღვდელი ს. იმნაიშვილი დიდს მეცადინეობაშია და ყოველს ღონისძიებას ჰხმარობს სკოლის აშენებისათვის, მაგრამ ყოველივე მისი მოძღვრება-დარიგება ამაოდ რჩება. აქამდის კიდევ ვიმედოვნებდით, რომ რაკი სხვა სამრევლო სასწავლებლებიც უმასწავლებლოდ იყვნენ დაშთენილნი ადგილობრივ კრებულის ანაბარად, ვფიქრობდით, შემდეგში სხვებთან ერთად ჩვენც გვეღირსება მასწავლებლის დანახვა, მაგრამ აქაც ბედმა გვიმუხთლა. ჯერ ისევ შარშან 1901 წ. ენკენისთვეში ბლაღოჩინმა იმნაიშვილმა, თანდასწრებით სამრევლო სკოლების ზედამხედველის მღვ. იროდიონ შავლიაშვილისა, ადგილობრივ მამასახლისის შემწეობით შეჰკრიბა მთელი საზოგადოება წინანდლისა და გამოუცხადა, რათა მათაც მიეღოთ მონაწილეობა სკოლის აშენებაში და შეძლებისა და-გვარად მიეცათ შემწეობა, მაგრამ ხალხმა ერთხმად მტკიცე უარი განაცხადა: „ჩვენ სკოლა არ გვინდა, როგორც ჩვენ ვცხოვრობთ, ჩვენმა შვილებმაც, თვალი მოითხარონ, ისე იცხოვრონო; ყურებთან მოსაჭრელი თავი რომ მხრებში დაგვაჭრან, მაგაზედ ვერავის დავთანხმდებითო. მთავრობას თუ ჩვენის შვილების სწავლა-განათლება უნდა, თვითონ ააშენოს სკოლაცა და მასწავლებლიდგან მოყოლებული, რაც-კი საჭირო იქნება, უბრალო სკოლის ნივთამდე, სულ თვითონ გამოგზავნოსო; რაც შეეხება ჩვენგნით შემწეობას, უბრალო ცოცხსაც ვერ შევწირავთო, იმისთვის, რომ წაგვიღებიან ახლა და ბოლოს ისევ ყოველივე ჩვენი თავში სახლელი გახდებაო“. მაინც მღვდელი ცდასა და მზრუნველობას არ იშლიდა და მუდმივი მისი თხოვნა მთავრობასთან იყო და არის ეხლაც, რათა მასწავლებელი მაინც დაენიშნათ ჯერ-ჯერობით. თხოვნამ უნაყოფოდ არ ჩაიარა. ხუთს მარტს სამაზრო ზედამხედველი გვეწვია ს. წინანდალში, შეაკრებინა მამასახლისს ხალხი და გამოუცხადა: „აი, საყვარელო ძმებო და მეგობრებო! მასწავლებელი მთავრობამ დანიშნა სახელმწიფო ხარჯით, მხოლოდ თქვენ ეხლა უნდა ერთი ოთახი მისცეთ მასწავლებელს საცხოვრებლად, ვიდრე სკოლას ააშენებდეთო“. ხალხმა, ისევ წინანდებურად ცივი უარი განაცხადა: თუმც მრავალგზის აუხსნეს ზედამხედველმა სკოლებისამ იროდიონ შავლიევმა და ბლაღოჩინმა ს. იმნაიშვილმა მნიშვნელობა სკოლისა, მაგრამ ყურიც არ ათხოვეს ამ დარიგებასა. „ასე და ისე ვუზამთ, ვინც ჩვენში გაჰბედავს და მასწავლებელს ოთახს მისცემსო, ან ქირით და ან უქიროდ (თხოებით), გაიძახოდა მოუფიქრებლად ხალხი... აგერ დაიშალნენ და მრავალი მათგანი დარიგდა სამიკიტნოებში (ეს მოწყალება მაინც გულ-უხვია ჩვენში!), სადაც შუბლ-შეხურებულები კახურით გაიძახოდნენ: „ღვინოვ კახურო, ვარ შენი მსმელი“!..

საწყალო გლეხ-კაცო, რად არ გესმის, რა არის შენი სასარგებლო და რა არის საზიანო; ერთი ასად საბრალო ხარ მით, რომ გროშს ჰზოგავ იმ საქმეში, რომელიც თავისს დროზედ ერთი ასად და ათასად სარგებლით ჩაგაბარებს შენს დახარჯულს გროშს და არ ჰზოგავ თუმანსაც მაშინ, როდესაც იცი დანამდვილებით, რომ ის ფული უნაყოფოდ იფლანგება.

მთავარ-დიაკონი ი. ხუციშვილი.

ნარკვევი.

—

როდესაც რუსეთის სასოფლო მეურნეობის უნუგეშო მდგომარეობაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, უეჭველად იკითხავენ ხოლმე,—სწერს გაზ. „რუს. ვედ.“: შესაძლებელია, თუ არა მიწათ-მოქმედების ტეხნიკურად გაუმჯობესება სათემო მიწის მფლობელობის დროს?

სათემო მფლობელობას მოწინააღმდეგენი ასახელებენ შემდეგს გარემოებას, რის გამოც სათემო მფლობელობა აბრკოლებს მიწათ-მოქმედების განვითარებას: თემის წევრებს წვრილ-წვრილ ნაჭრებად აქვთ დაყოფილი მიწა და მასთან ყოველს წევრს სხვა-და-სხვა ალაგას აქვს მიჩენილი მამული. ამიტომ ბევრი ადგილი იკარგება მიჯნებზედ და დრო ერთის ადგილიდგან მეორეში გადასვლისათვის. გარდა ამისა, რომელისამე განსაზღვრულის ადგილის პატრონები იძულებულნი არიან ერთსა და იმავე დროს და ერთგვარად დაამუშაონ მიწა, რადგან თუ ვინმემ სხვებთან ერთად არ დათესა, შეიძლება თავისს მიწაზე მისავალიც ზა არ ექნეს მერე, ან თუ ადრე დათესა, ან გვიან მომკო, როდესაც სხვებს მიწა მინდვრად საბალახოდ აქვთ გაშვებული, მისი ნათესი განადგურებული იქნება.

მაგრამ, განა, მარტო იქ არის ასეთი მიწის დანაწილება, სადაც სათემო მფლობელობაა?

გაზეთს მოჰყავს მაგალითები, როგორც რუსეთის ისე ევროპის მიწის მფლობელობის შესახებ იმის დასამტკიცებლად, რომ მიწის წვრილ ნაჭრებად დანაწილება იქაცაა, სადაც კერძო მიწის მფლობელობაა.

სჩანს, ეს არ ყოფილა მარტო სათემო მფლობელობის ნაკლულევანება.

გაზეთი გვპირდება შემდეგში ამავე საგანზე მოლაპარაკებას.

⁂

«ნოვოე ობოზ». ეხება ახლად დაარსებულს საფაბრიკო ინსპექციას. მრეწველობის განვითარებამ შექმნა ჩვენში მუშათა კლასი, რომელთა რიცხვი დღითი-დღე მატულობს. ეს გარემოება აუცილებლივ იწვევს მექარხნეთა და მუშათა ურთიერთობის გაწესრიგების საჭიროებას. ამას უნდა ემსახუროს საფაბრიკო ინსპექცია.

გარდა სამუშაო დღის, ქირის, ჯარიმების გაწესრიგებისა და მუშათა და მექარხნეთა შორის მომხდარ უთანხმოების მოსპობისა, საფაბრიკო ინსპექტორების მოვალეობაა იზრუნონ მუშათა დაზღვევისა, მათთვის სკოლის გამართვისა და საექიმო დახმარების მოწყობისათვის. გარდა ამისა, ინსპექტორებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ, რათა აღსრულებულ იქმნას ყოველთვის ფაბრიკებსა და ქარხნებში მომუშავე ქალებისა და ბავშვებისა შესახებ ეს კანონი.

გაზეთის სიტყვით, ჩვენში ძალიან საჭიროა ისეთის სკოლების გამართვა, სადაც მუშათა შვილებს პირველ-დაწყებით საზოგადო ცოდნასთან ერთად ასწავლიდნენ აგრეთვე რომელსამე წარმოებას. ამისთვის უნდა იზრუნონ ინსპექტორებმა და დაიხმარონ ფაბრიკებისა და ქარხნების პატრონები.

რუსეთი

—

— როგორც შეიტყობენ გაზეთები გუშინდელ დეპეშიდგან, პეტერბურგის ახლო, სტრელნაში, გარდაიცვალა ცნობილი მწერალი გლებ უსპენსკი. განსვენებული დაიბადა 1840 წ. პირველად სწერდა მასკოვის პატარა გაზეთებში. 1866 წ. „სოვრემენიკში“ დაიბეჭდა „Нравы Растеряевой улицы“ და ამით მიიქცია საზოგადოების ყურადღება. უმთავრესი მისი მოღვაწეობა ეკუთვნის 1868—1884 წლებს, როდესაც მონაწილეობას იღებდა ჟურნალ „Отеч. Зап.“-ში. გლ. უსპენსკი არის საუკეთესო წარმომადგენელი ეგრედ-წოდებულ „ნაროდნიკულ“ მიმართულების მწერლებისა. მაგრამ გლებს არ უყვარდა სხვებივით ხალხის იდეალიზაცია, არამედ ყოველთვის სიმართლით აღწერდა ხალხს და არა ჰფარავდა არც ცუდს, არც კარგს მის თვისებას. უსპენსკის უკეთესი ნაწარმოებია მოთხრობები საერთო სათაურით «Власть земли». აქ უსპენსკი აღნიშნავს, თუ რა მჭიდრო კავშირია ხალხის შეხედულობასა და მის სამეურნეო ყოფა-მდგომარეობასა და მიწათ-მოქმედებას შორის. მის ნაწარმოებს ყველგან ავტორის შეწუხებულ სულის მდგომარეობა ემჩნევა. გლებს ძლიერ უყვარს ხალხი, მაგრამ ხალხის ცხოვრების საფუძველი მაინც არა სწამს: ჩარჩობა და მომავალი ცივილიზაცია მაინც შემუსრავს ამ საფუძველსაო. ამიტომაა, რომ გლ. უსპენსკის თავის წინამორბედად სთვლიდნენ მარქსის მიმართულების ზოგიერთა მწერლები.

გლ. უსპენსკი ეს ათი წელია სულით ავადმყოფი იყო.

— კიევის უნივერსიტეტში 15 მარტს გამოუკრავთ შემდეგი განცხადება რექტორის მიერ ხელმოწერილი: «ვუცხადებ წმ. ვლადიმერის უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომ სახალხო განათლების მინისტრის განკარგულებით "უნივერსიტეტში მეცადინეობა და სწავლა ხელახლა დაიწყება ყველა ფაკულტეტის 3 და 4 კურსებისა, მეხუთე სამედიკო კურსისა და ისტორიკო-ფილოლოგიკო ფაკულტეტის 1 და 2 კურსისათვის—18 მარტიდგან. იურიდიულ, ფიზიკო-მათემატიკო და სამედიკო ფაკულტეტების 1-ლ კურსის სტუდენტები გამორიცხულ არიან სრულიად უნივერსიტეტიდგან და ყველა ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენ-

---

ფელეტონი

—

გრაფი ტოტლებენი
და
მისი ადვოკატი ბ-ნი ლინდა*)

წერილი ჭიანურდება, მაგრამ რა ვუყოთ, როდესაც ჩვენსას ბ-ნი ლინდა არას დაიჯერებს. ეს გვაიძულებს სულ სხვისის ნათქვამით და ნაწერით დავასაბუთოთ ხოლმე ნალაპარაკევი. ასეთი მანერა წერისა საუბარს დიდად აჭიანურებს.

ტოტლებენი სძულდათ თავისისავე კორპუსის აფიცრებს, რადგან, ამბობს ვეიდენბაუმი, გრაფი ამპარტავანი, გოროზი, ბრიყვი და აუტანელის ხასიათისა იყოო. გრაფი არცა ჰმალავდა თავის გრძნობას და ამბობდა: არ მიყვარს რუსისა და ქართველის ჩამომავლობის აფიცრებიო. აი, სადამდე გაკადნიერებული იყო ეს ტიპიური ავანტიურისტი ნეტარ-ხსენებულ მეთვრამეტე საუკუნისა! მაშ, თუ ქართველი და რუსის აფიცრები სძულდა ამ საარაკო გმირსა, ვიღა უყვარდა? თავისი თავი და ჯიბე[40].

ამ ღირსებას გარდა ტოტლებენს სხვა დიდი ღირსებაც ბევრი ჰქონდა. გრაფი მეტის-მეტი თავმოყვარე, პატივის-მოყვარე, ბაქია და მკვეხარა იყო. თავის ტრაბახობით ყურები გამოუჭედა პეტერბურგის მინისტრებს და თვით ეკატერინესაც. როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, ტრაბახობის უნარი ტოტლებენმა ჯერ ისევ პომერანიაში გამოიჩინა სავსებით. ბერლინის აღება მარტო თვითონ დაიჩემა და დანარჩენი სარდლები ჩვარში გაახვია. ბაქია-ტრაბახობის უნარი მომეტებულად აქ, საქართველოში, გამოიჩინა, რადგან ამ სიშორეს კრიჭაში ვინ ჩაუდგებოდა, ან ლაგამს ვინ ამოსდებდა თავგასულ და გაკადნიერებულ გენერალსა?

ურიგო არ იქნება დავასახელოთ რამდენიმე მაგალითი გრაფის ტრაბახობისა.

ტოტლებენმა ალყა შემოარტყა ბაღდადის ციხეს, რომელშიაც ჩაკეტილიყო 21, თუ 30 ოსმალოს მეციხოვნე. ციხე ვერ აიღო იერიშით. მეციხოვნეთ შემოუთვალეს გრაფსა, თუ დედოფალი მარიამ (სოლომონის მეუღლე) პირობას მოგვცემს, რომ არას გვავნებთ, დაგნებდებითო. ტოტლებენმა შეატყობინა დედოფალს მეციხოვნეთა სურვილი. დედოფალი ამალით (უეჭველია, სეფე ქალნიც ერიოდნენ ამალაში) ციხეში შებძანდა, მეციხოვნენი-კი აფრიალებულ ბაირაღებით გამოვიდნენ ციხიდგან და არხეინად გაუდგნენ თავიანთ გზას. ასე რომ ბაღდადის ციხის აღება სამართლიანად დედა-კაცს უნდა მიეწეროს და არა „ძლევა-მოსილს“ სარდალს. ისტორიკოსი ვეიდენბაუმი ამის შესახებ ამბობს: „სისხლის დაუღვრელად ბაღდადის აღებამ საბუთი მისცა ტოტლებენს დიდებული მოხსენება დაეწერა ამ ვაჟკაცობის გამოო“[41].

ვიდრე ტოტლებენი საქართველოს ნიადაგზე თავის ბედნიერ ფეხს შემოსდგამდა, სოლომონმა უკვე შორაპნის ციხე აიღო და ოსმალნი გარეკა. შორაპნის აღებაც ტოტლებენმა მიითვისა. აბა, ვინ წაედავებოდა გენერალს! მაშინ პეტერბურგამდის სამ თვეს ვერ მიდიოდა კურიერი. კიდეც რომ მისულიყო, როგორც ზემოდაც მოვიხსენიეთ, აქაურებს არ უჯერებდნენ და მხოლოდ ტოტლებენი მიაჩნდათ ჭეშმარიტებისა და სიმართლის ჭურჭლად.

მაშინდელ სამეგრელოში ორი საცოდავი ციხე ყოფილა. ინგურის პირად—რუხი და ანაკლიის შავი ზღვის პირად. თითოში ასე ოც-ოცი კაცი ჰყოლიათ ჩაყენებული ოსმალებს. ოქტომბერში ტოტლებენი რომ შევიდა სამეგრელოში, წინ კაცია დადიანი გამოეგება და 400 მეომარი აახლა. მეორე ნაწილი თავის ჯარისა რუხისა და ანაკლიის დასაჭერად გაჰგზავნა დადიანმა. რუხისა და ანაკლიის მეციხოვნეთ შიშისაგან გული გაუსკდათ, რადგან მეგრელები ცალკე იწევდნენ მათკენ და რუსები კიდევ ფოთს შემოერტყნენ. ადგნენ და დასცალეს ციხენი. დადიანმა ციხეები დაიჭირა და შიგ თავისი კაცები ჩააყენა.

ეს უმნიშვნელო გარემოება ისე გააზვიადა და გასჭამა ტოტლებენმა, რომ სიცილს ძლივს დაიმაგრებს ადამიანი, ამ ამბებს რომ მოისმენს. პეტერბურგს ხომ გაახსენა ტოტლებენმა, რუხი და ანაკლია წავართვი მტერსაო, ბრძანებაც გაჰგზავნა ყიზლარს და ასტრახანს—სამადლობელი პარაკლისები გადაიხადეთო[42].

ასეთივე მასხარაობა იყო ქუთაისის აღება, ვიდრე ტოტლებენი ქუთაისს მივიდოდა, სოლომონმა დიდად შეაწუხა ოსმალონი და აიძულა ციხისთვის შეეფარებინათ თავი. ციხეში შესულთა რიცხვი იქმნებოდა ასე 50—60 კაცი და 220 მოქალაქე, სულ დედა-კაცები და ბავშვები. ტოტლებენი გარს რომ შემოერტყა ქუთაისს, შემწყვდეულნი დიდს სიმშილს ითმენდნენ. გამწარებული ბავშვები და დედა-კაცები ციხიდგან იპარებოდნენ, რომელთაც ტოტლებენი იჭერდა და ბანაკში ამწყვდევდა. ამ სახით, რამდენისამე დღის განმავლობაში ბანაკში შეიკრიბა 160 ბავშვი და დედა-კაცი. ტოტლებენმა ესენი აღნუსხა, როგორც სამხედრო ტყვენი (военнопленные). ექვს აგვისტოს 1770 წ. ციხის კედელი ერთ ადგილას გაარღვიეს. ტოტლებენს მოახსენეს, ოსმალონი, გაპარვას აპირებენო. მართლაც იმავე ღამეს ასტყდა თოფის სროლა, ოსმალონი ციხიდგან გამოვიდნენ, გაარღვიეს პიკეტები და წავიდნენ. ამ დროს სად ბრძანდებოდა ტოტლებენი? თურმე ნუ იტყვით, ცალკე კომანდით შეპარულიყო ციხეში გარღვეულ ადგილს და მიეყო ხელი ძარცვა-გლეჯისათვის.

რადგან ბ-ნი ლინდა ჩვენ არას დაგვიჯერებს, ისევ ნ. დ. იაზიკოვი უნდა ვალაპარაკოთ: «ტოტლებენიო, ამბობს ეს კაპიტანი, აქ მხოლოდ იმისათვისაა, რომ ნადავლი იშოვნოს, რაიცა საკმარისად იშოვნა. ესაა მიზეზი, რომ აქაურ მეფეებს ახლოს არ იკარებს გრაფი და მარტო თვითონა სურს ქალაქები დაიმორჩილოს. მაგალითად, დავასახელებ გრაფის სიხარბეს დავლის შოვნაში ქუთაისის აღების დროს („жадность къ добычѣ“). როცა შიშველ-ტიტველი დედა-კაცები გამოდიოდნენ ციხიდგან ბარგით, ტოტლებენი ჰგზავნიდა აფიცრებს და სძარცვავდა საცოდავებს. პერანგის მეტს არაფერს ანარჩუნებდა და ნადავლი იმის კარავში მიჰქონდათ. ხელზედ ბეჭედებსაც-კი აძრობდნენ. ციხის აღების შემ-

---

*) იხ. «ივერია» № 66.

[40] იხ. Потто, Ист. очеркъ... стр. 101. «Надменный, дерзкій и заносчивый генералъ не скрывалъ своего нерасположенія къ офицерамъ русскаго и грузинскаго происхожденія». აი, როგორ მტკიცდება ლინდას მიერ დაწუნებულ პოდპოლკოვნიკ ჩოგლოკოვის აზრი ტოტლებენის შესახებ!

[41] იხ. Потто, Ист. очеркъ... стр. 111. «Безкровное занятіе Багдада дало поводъ Тотлебену написать пышную реляцію о совершенномъ подвигѣ.» ეკატერინე კიდევ ვოლტერსა სწერდა: „Супруга Имеретинскаго царя, прибывъ въ русскій станъ,просила графа предоставить ей честь первой вступить въ крѣпость, когда она будетъ занята. Вы понимаете, конечно, что ей не было въ этомъ отказано... „ibidem გვ. 111. აქედგანა სჩანს, რომ ტოტლებენმა ტყუილების ქსელში დედოფალი ეკატერინეც გააბა და შიგ სახელოვანი საფრანგეთის ფილოსოფოსიც ჩაითრია.

[42] იხ. Потто, Истор. очеркъ... გვ. 115. როცა ეს ამბები იწერებოდა, რუსის კორპუსი დიდ გაჭირვებასა და იწროებაში იყო: „и только русскій солдатъ, говоритъ Вейденбаумъ, могъ безропотно подчиниться тѣмъ условіямъ, въ которыхъ поставили его упрямство и алчность Тотлебена“.

ტები-კი დატოვებულ არიან იმავე კურსზე, თანახმად წინანდელ განცხადებისა.“

— გაზ. „მოსკ. ვედ.“-ი იტყობინება: რადგან ამდენ ხანს ზოგიერთ ეპარქიაში შესაფერად თვალ-ყურს ვერავინ ადევნებდა მღვდლების ქადაგებას, ამიტომ ყოველ საბლაღოჩინოში დანიშნული იქნება თითო ცენზორი მოძღვრებათა და ქადაგებათა განსახილველად.

— ებრაულ გაზეთების სიტყვით, ზოგიერთმა ვარშაველმა რაბინმა სიონისტურ გაზეთებს „ხერემი“ (შეჩვენება) დაადვა და ეს ამბავი სამლოცველოებში გამოაცხადა. წინად ასეთს წყევლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: დაწყევლილი „უწმინდურ პირუტყვად“ ითვლებოდა, რომელსაც ვერავინ მიუახლოვდებოდა, ვერ გამოესაუბრებოდა, ვერავითარს კავშირს ვერ იქონიებდა მასთან და სხვ. ახლა-კი „ხერემს“ სასაცილოდ იგდებენ გაზეთები.

— მოსკოვის პოლიციას დანის ტარებისათვის ერთი თვით დაუპატიმრებია გლეხი კოზლოვი.

— შემოდგომაზე რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქებში გაიმართება იაპონიის შინა-მრეწველობის გამოფენა.

— მთავრობის მიერ აკრძალულ იქმნა წარმოსადგენად მოსკოვისა და პროვინციელ სცენებზე ბარიატინსკის პიესა „Перекаты“ და დრამა Quo vadis, სენკევიჩის რომანიდგან გადმოკეთებული.

— ვარშავის სამოსწავლო ოლქის ცირკულიარში დაბეჭდილია, რომ იმ კათოლიკე მოსწავლეებს, რომელთაც არ უნდათ ისწავლონ პოლონური ენა, სადმრთო სჯული უნდა ისწავლონ რუსულს ენაზედო.

— ლ. ტოლსტოი თუმცა სრულიად განიკურნა ფილტვების ანთებისაგან, მაგრამ ძალიან სუსტად არის თურმე და სხვის დაუხმარებლად არაფრის გაკეთება არ შეუძლიან.

უცხოეთი

საფრანგეთი. ორი კვირა იქმნება, რაც პარიჟში გაცხარებული საარჩევნო აგიტაციაა. ყოველ დღე საზოგადო დარბაზებსა და კერძო სადგომებში, ყავახანებსა და სხვა ადგილებში იმართება დიდი კრებები, რომელზედაც ამა თუ იმ დასის წარმომადგენელნი თავიანთ კანდიდატების სიტყვებს ამბობენ. თუმცა მთავრობა და საზოგადოება ბევრსა სცდილობენ წესიერების დასაცველად, მაგრამ იშვიათად თუ რომელიმე კრება უმუშტი-კრივოთ და უდუელოთ ჩაივლის ხოლმე. გაზეთები მრავალ ასეთს ამბავს გადმოგვცემენ. დიუბოკს, პარიჟის ერთის უბნის კანდიდატს, წარსულ შაბათს შეუკრებია თავისი ამომრჩევლები. კრებას ერთი პედაგოგიც დასწრებია, ლეჟერი, დიდი მომხრე დიუბოკის კანდიდატურისა. კრების გათავებისას ქუჩაში ლეჟერს მთელი ბრბო დასცემია. ისე უცემიათ საწყალ პედაგოგისთვის, რომ ავადმყოფი სამკურნალოში წაუყვანიათ. მეორე კრებაზედ, რომელსაც ჟურნალისტებიც დასწრებიან, კამათი ისე გამწვავებულა, რომ ნაციონალისტს ოსტერს დუელში გაუწვევია პუბლიცისტი მარლე. ორივენი მძიმედ დაჭრილან.

ყველაზედ მეტად მხნეობს და მეცადინეობს სამღვდელოება, განსაკუთრებით იეზუიტთა ორდენი. ყოველ დღე ეკკლესიებში იეზუიტთა საუკეთესო ორატორნი ქადაგებებს ამბობენ არჩევანებზედ. ისე დღე არ გავა, რომ სასამართლოში არ გაირჩეს საქმე 6—10 მქადაგებელისა, რომელთაც ხალხი ეკკლესიებიდგან აგდებს; მაგრამ ისინი თავისას მაინც არ იშლიან და ერთის ეკკლესიიდგან მეორეში გადადიან. სამღვდელოება თავისს მხრივ მალი-მალ გაზეთებს უჩივის სასამართლოში. ამას წინად, მაგალითად, 431 მღვდელმა საერთო საჩივარი აღძრა რადიკალ-სოციალისტურ გაზეთ „Fraternité“-ს წინააღმდეგ. მღვდლები ამ გაზეთს დიფამაციას აბრალებენ; თვითოეული 100 ფრანკს ედავება, ასე რომ ერთად 43,000 ფრანკი შესდგება.

ინგლისი. აღდგომის დღესასწაულების შემდეგ ხელ-ახლა გავრცელდა პოლიტიკურ წრეებში ხმა, რომ ლორდი სალისბური, დღევანდელი მინისტრ-პრეზიდენტი, თანამდებობას თავს ანებებსო. რამდენსამე კაცს ასახელებენ სალისბურის მოადგილეთ. ოთხი კაცია ისეთი, სწერს ერთი გაზეთი, რომელთაც შეიძლება მეფემ მინისტრ-პრეზიდენტობა მიანდოს: ჰერცოგი დევონშირი, ბალფური, ლორდი ლანსდოუნი და ჩემბერლენი. დევონშირი ადვილად იშოვნის თანამშრომლებს და სამინისტროს წევრებს. ესევე ითქმის ბალფურზედ. თუ სამინისტროს შედგენა ბალფურს მიენდო, იგი, ეჭვი არ არის, პერობას მიიღებს და ზემო პალატაში გადავა, ხოლო ქვედა პალატაში ლიდერის ადგილს ჩემბერლენი დაიჭერს. მაგრამ საეჭვოა: დასთანხმდება თუ არა ამ შედარებით მცირე როლს ჩემბერლენი და საჭირო ხომ არ შეიქმნება მინისტრ-პრეზიდენტობა იმას მიენდოს, რადგანაც ხალხში ყველაზედ მეტად დღეს ჩემბერლენს აქვს სახელი გავარდნილი. თუ ასე მოხდა, ჩემბერლენს ძალიან გაუჭირდება კაბინეტის შედგენა, როგორც დღევანდელ სამინისტროს წევრთა, ისე სხვათა შორის. საქმე ისაა, რომ ჩემბერლენი არ უყვართ დღევანდელ სამინისტროს წევრებს. მათ დღესაც ვერ უპატიებიათ ჩემბერლენისთვის წინანდელი რადიკალობა და რესპუბლიკანობა. ამ რიგად თუ დევონშირმა, ბალფურმა და ჩემბერლენმა არ მოისურვეს მინისტრ-პრეზიდენტობა, ან ვერ შეადგინეს კაბინეტი, ეს საქმე ლორდ ლანსდოუნს მიენდობა. ლანსდოუნი, როგორც ინდოეთის ვიცე-კოროლად და კანადის გენერალ-გუბერნატორად ნამყოფი, კარგად იცნობს საახალშენო საქმეებს.

ოსმალეთი. „Berl. Tag.“-ს კონსტანტინეპოლიდგან ატყობინებენ, რომ ოსმალეთმა და საბერძნეთმა პირობა დასდეს დაიცვან მაკედონიაში მშვიდობიანობა. თუ ვინცობაა, მაკედონიაში თვალ-საჩინო არეულობანი მოხდა და ბოლგარია მიეშველა მაკედონელთ, ოსმალეთმა და საბერძნეთმა შეერთებული ჯარი უნდა გაჰგზავნონ წესიერების აღსადგენად. გაზეთების აზრით, საბერძნეთის ჯარი საჭირო არ იქმნება, რადგანაც ოსმალეთს მაკედონიის საზღვარზედ 230,000 ჯარის-კაცი ჰყავს თურმე. ბალკანიის გაზეთის სიტყვით, მაკედონიაში საქმე თან-და-თან მწვავდება, განსაკუთრებით მონასტირის ვილაეტში. სასტიკი ზომების მიუხედავად, სარევოლიუციო კომიტეტები მეტად მხნედ მოქმედებენ და აღელვებენ ქრისტიან მცხოვრებთ. პოლიცია სასტიკად სდევნის მეამბოხეთა მეთაურთ. ბიტოლიაში 400-ზედ მეტი ბოლგარი დაუპატიმრებიათ. ბევრგან დაპატიმრებულთ აწამებენ კიდეც, რომ გამოსტეხონ და გაიგონ, სად არის იარაღი შენახული. დაპატიმრებულთა უმრავლესობას მასწავლებელნი და მღვდელნი შეადგენენ. ოსმალნი სისასტიკეს არ ერიდებიან, მაგრამ კომიტეტები არაფერს ყურადღებას არ აქცევენ, პირ-იქით იმასაც ამბობენ, რომ ეს სისასტიკე ხალხს უფრო ააღელვებს და ააშფოთებსო. კომიტეტები სარევოლიუციო გაზეთსაცა ჰბეჭდავენ, სახელად ამ გაზეთს „Orujie“ ჰქვიან. სარევოლიუციო კომიტეტები პროპოგანდისა და თავანთ მიზნის განსახორციელებლად არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, აშინებენ ხალხს და ხშირად ჰხოცავენ კიდეცა. უკანასკნელ ოთხის თვის განმავლობაში ფულის გულისათვის ან ჯავრის ამოსაყრელად 30 სული მოჰკლეს, აქედგან სამი ქალი მოჰკლეს ღალატისათვის. კომიტეტების ასეთმა საქციელმა ბევრნი დააფრთხო კიდეც.

ჩინეთი. ჩილის სამხრეთ ნაწილში, ტამინგფუში დიდი არეულობანი მოხდა. ჩინელ მოხელეთა სიტყვით, შეტაკების დროს ჯარს 1000 კაცი მოუკლავს. არეულობის მიზეზი იმ ფულის მოკრეფა ყოფილა, რომელიც კათოლიკებისათვის უნდა მიეცათ. რაოდენობა ამ ფულისა დაადგინეს მღვდლებმა და ჩინელმა მოხელეებმა. ეხლა მოხელეები ურჩევენ მღვდლებს, დროებით, ხალხის დასაწყნარებლად, წავიდნენ ამ ოლქიდგან. ამბობენ, ფულის მოკრეფა მისიონერების სასარგებლოდ ყველგან არეულობას იწვევსო. ხალხი უიმისოდაც გაღარიბებულია, ჩვეულებრივი გადასახადი ვერ გაუღია და ეხლა მისიონერებისათვისაც ართმევენ ფულს.

— „Patrie“-ს პარიჟელ კორესპონდენტს მოჰყავს შინაარსი საინტერესო ქაღალდისა, რომელიც იმპერატორს 1902 წლის 1 იანვარს მანდარინებისათვის დაუგზავნია. აი რასა სწერს ამ ქაღალდში იმპერატრიცა: „ჩემო ხალხო! მე სასოწარკვეთილებაში ვარ. ბოღმა მკლავს. უცხო ქვეყნელთ ნება მივეცი ჩემ სახელმწიფოში დასახლებისა, სახლების აგებისა, იმათ-კი ეს სახლები გადააქციეს ყაზარმებად, სადაც თოფები და ტყვია-წამალი აქვთ შენახული. დადარდიანებული და დაღონებული წავედი ჩემ წინაპართა ტაძარში, რათა იქ რჩევა და ნუგეში მიმეღო. ზეცამ მომიგო, რომ სამი თანაშემწე გყავსო. ესენი არიან: წითელ ფარნებისა, დიდ დანებისა და მოკრივეთა საზოგადოებანი. ეს საზოგადოებანი ამოსწყვეტენ და მიწასთან გაასწორებენ უცხო-ქვეყნელთ. დიდებულმა ბუდდამ მითხრა, რომ უცხო-ქვეყნელთ ყოველთვის ბოროტება მოჰქონდათ ჩინეთისათვისაო. ზეცამ მიჩვენა წითელ ფარანთა ნიშანი. ზეცამ გამომიგზავნა ჯარი რომელმაც ამოაშრო ზღვა და უცხო-ქვეყნელ გემებს აღარ შეუძლიანთ ჩვენთან მოახლოვება. როგორც ბუზები, ისე დაიხოცებიან უცხო-ქვეყნელნი. ყოველივე ეს ლიკუ-ვენმა მიწინასწარმეტყველა; წავიკითხეთ აგრეთვე ქვაზედ. წავიკითხეთ, რომ დიდი უბედურება მოელის ჩინეთს, დიდი ცვლილება მოხდება, რამწამს რკინის ცხენი (რკინის გზა) ჩვენში გაჩნდება. ნუ შემოუშვებთ ამ ცხენს. შანდუნში რვაასის წლის წინად ერთმა ბონზამ იწინასწარმეტყველა, რომ უცხო-ქვეყნელთა გასადევნად, უნდა წითელი ფარნები მოვიშველიოთო. იმ შხამის ასაცდენად, რომლითაც ევროპიელნი სარგებლობენ, საჭიროა თილისმის ტარება და ამ ლოცვის თქმა: „ზეცის ჯარნო, მიწის ჯარნო, ძლიერნო სულნო, დაიცვეით ჩემი სხეული. ლაოკიუმ მოდი ჩემდა დასახმარებლად!“

„წითელ ფარანთა საზოგადოება“, რომლის შესახებაც ამ წერილშია ლაპარაკი, ყველაზედ დიდი და ძლიერი საიდუმლო საზოგადოებაა ჩინეთში.

— რუსეთის ელჩსა და პრინც ცინს ლაპარაკი ჰქონიათ ტიბეტის შესახებ. როგორც ვუწყით, ტიბეტი დღეს ჩინეთს ეკუთვნის და იმის პროვინციად ითვლება. ჩინელებს არ უნდათ ტიბეტის განთავისუფლება, უფრო-კი იმიტომ, რომ შიშობენ, შემდეგ რუსეთმა არ ჩაიგდოს ხელშიო.

საბაასო

ეკლარის ქვის მაღანი.

18 მარტის საბჭოს სხდომას გასარჩევი ჰქონდა, სხვათა შორის, ერთი ძლიერ მწვავე საგანი, რომელიც შეეხებოდა ქალაქის ქვის მაღანს ეკლარას. ამ საგანმა დიდი სჯა-ბაასი გამოიწვია და ბოლოს ჩვეულებრივ გარდაეცა კომისიას, რომელმაც ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით ყოველ მხრივ უნდა განიხილოს და მოკლე ხანში თავისი აზრი საბჭოს სხდომას წარუდგინოს.

საქმე, აი, როგორ გახლავთ: ამ 1902 წლამდის ეკლარის ქვის მაღანი გაცემული იყო იჯარით; წელს-კი გამგეობის ერთის წევრის წინადადებით ქალაქმა გადასწყვიტა თვითონვე ეწარმოებინა ეგ საქმე. ამ საქმისა და სალორიის აგარაკის მმართველად გამგეობამ მიმიწვია მე, ამ სტრიქონების დამწერი. როგორც გამგეობამ, ისე საბჭომ, არ იცოდა, თუ ეკლარის საქმეების წარმოებისათვის საჭირო იქმნებოდა სამთო კანონების მცოდნე სპეციალისტი, მაგრამ, როგორც ბოლოს გამოარკვია საგუბერნიო ინჟენერის ბ-ნ ცეიტლინის მოწერილობამ, ახალის წესის ძალით, სავალდებულო ყოფილა სამთო ინჟენერის ან შტეიგერის პირდაპირი ზედამხედველობა. ამ გარემოებამ ქალაქის გამგეობა უხერხულს მდგომარეობაში ჩააყენა, რადგან მარტო ამ საქმისათვის (ეკლარისათვის) გადადებული იყო მხოლოდ 600 მანეთი; შტეიგერი-კი, რომელსაც გამგეობამ მიჰმართა, თხოულობდა ყოველ-წლიურად 1,500 მანეთს. ამან აიძულა გამგეობა საბჭოსათვის წარედგინა ეს საგანი ხელ-მეორედ გასარჩევად.

როგორც სხდომაზე გამოირკვა, დამსწრე ხმოსანთა თითქმის უმეტესობა, რაღაც გაუგებარ მიზეზის გამო, ძლიერ ესარჩლება მაღნის ძველებურადვე იჯარით გაცემას. სწორედ ვერ გამიგია, რით ჰხელმძღვანელობენ ეს ხმოსნები, რომ ასე დაჟინებით იცავენ ერთხელ აჩემებულ აზრს! ნუ-თუ იმით, რომ წინანდელმა მოიჯარადრემ, რომელსაც 3,000 მანეთად ჰქონდა წლიურად აღებული ქვის მაღანი იმ პირობით, რომ მხოლოდ ოთხი ქარხანა (шахта, карьеръ) გაეხსნა სამუშაოდ, ნამდვილ-კი 27 ქარხანა გახსნა და იმდენი მასალა დაამზადა, რომ ვადის გასვლამდის გადაზიდვაც ვერ მოასწრო? მაგრამ ეს საიდან ეცოდინებათ, როდესაც ზოგიერთს მხოლოდ სახელი თუ გაუგონია ეკლარისა, თორემ ისიც-კი არ იცის, სად არის ეს ეკლარა. მართალია, ეს ორი-სამი თვეა მუშაობა შეჩერებულია, მაგრამ ეს ისევ ხმოსნების ბრალია: უშრომლად, უხარჯოდ არაფერი გაკეთდება. ვსთქვათ, ქალაქი ღარიბია, ეკლარის საქმის პირველ მოწყობას-კი ცოტა ფული დასჭირდება (3000—4000 მან.), მაგრამ იმის თქმა-კი არ შეგვიძლია, რომ ამ გარემოებამ ქალაქს ხელ-ფეხი [illegible] საქმისთვის სულ ადვილად შეუძლია ვალის აღება და თავისს დროზე გადახდაც. თუ კერძო მოიჯარადრენი, რომელნიც, სხვა ხარჯებს გარდა, იჯარის ფულსაც იხდიან, მაინც ათასობით და ათი-ათასობით იგებენ ყოველ-წლიურად, როგორ დავიჯერო, რომ ქალაქმა თავისს საკუთარ მაღნიდგან ქვა ჰყიდოს და კიდევ წააგოს! ისიც სათქმელია, რომ ქალაქს აქვს საუკეთესო ხარისხის თეთრი და ცისფერი ქვა; რაც შეეხება წითელ ქვას, ეს მხოლოდ ქალაქის მონოპოლიას შეადგენს—სხვას არავის აქვს. ნუ-თუ ამ ვითარებაში კიდევ შეიძლება წაგება? ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ქალაქი თავისს საჭიროებათათვის მამასისხლად ჰყიდულობს იმ ქვას, რომელსაც თვითონ „ნიახურის ფასად“ აძლევს მოიჯარადრეს. მაგრამ არა: ჩვენ ხელის განძრევა გვეზარება, შრომას თავიდან ვიცილებთ და ჩვენს ლუკმას სხვას ვაძლევთ პირში. იმას-კი მუდამ ვწუწუნებთ, „ღარიბნი ვართ, ღარიბნიო“.

ყოველი განათლებული ქვეყანა, ყოველი ქალაქი სცდილობს თავისს სიმდიდრეს თვითონვე მოუაროს, რადგან იცის, რომ სხვას ისე არ შესტკივა გული მისს ქონებაზე, როგორც თვითონ პატრონს; ცოტა შემოსავალიც რომ ჰქონდეს ამ სიმდიდრისაგან, სხვამ კი მეტიც შეაძლიოს, მაინც პირველს ირჩევს: ჩვენსავით დღევანდელი კვერცხი არ ურჩევნია ხვალინდელ ქათამს. წინდაწინვე განსჭვრეტს, წარმოიდგენს სხვის ხელში ჩაგდებულ მისს სიმდიდრეს რა მოელის და ისე ჰმოქმედებს, როგორც აჯობებს მომავლისათვის. ჩვენ-კი სხვის გამოცდილებით არ გვინდა ვიხელმძღვანელოთ, სხვის კარგს მაგალითს არ გვინდა მივბაძოთ და ისე ვმოქმედებთ, როგორც ათასის წლის წინად ჩვენნი წინაპარნი ჰმოქმედებდნენ. ქალაქი იჯარით არ სცემს ისეთ საქმეს, რომლის მეთვალყურეობა ყოვლად შეუძლებელია,—როგორც, მაგალითად, ქალაქის ასსენიზაცია,—რომელსაც ზარალის მეტი არა მოაქვს-რა; იჯარით რომ გაეცა, ერთი 300—400 მანეთი მაინც წმინდა შემოსავალი დარჩებოდა; ეკლარის მაღანს კი ჩასციებია და მაინც-და-მაინც იჯარით უპირებს გაცემას.

მერმე რა ადვილი მოსაწყობი იყო ქალაქისათვის ეკლარის საქმე! ქალაქს არქიტექტორად მოწვეული ჰყავს სამხედრო ინჟენერი ბ-ნი ფონ-შულცი, რომელსაც აძლევს წლურად 1500 მანეთს. მაგრამ, რადგანაც მოცლა არა აქვს, კვირაში ორჯერ-სამჯერ თუ შეიხედავს ქალაქის გამგეობაში, ისიც რამდენისამე საათით. ქალაქს-კი იმდენი საქმეები აქვს, რომ საკუთარი არქიტეტორი მიუცილებელად საჭიროა. მოდიან მთხოვნელები, უნდათ ინჟენერის წაყვანა, მაგრამ ვერ ჰხედავენ და მთელი ორი-სამი დღე უნდა უცადონ. ამის უხერხულობას თვითონ ბ-ნი ფონ-შულციც კარგადა ჰგრძნობს და რამდენჯერმე კიდეც შეიტანა გამგეობაში განცხადება, დრო არა მაქვს და გამათავისუფლეთო; მაგრამ ქალაქი ჩასციებია, გინდა თუ არა, მოიცალეო. ბ-ნი ფონ-შულცი სწორედ პატიოსანი, თავისს საქმის კარგად მცოდნე კაცია მაგრამ ქალაქი ამ პატიოსან კაცსაც სახელს უხდენს და თავისს საქმესაც იფუჭებს. აი, ამ ინჟენერის მაგივრად ქალაქს რომ საკუთარი სამთო ინჟენერი მოეწვია, მაშინ არც მცხოვრებლები იქმნებოდნენ თითო საათის მაგივრად მთელის კვირაობით ატუზული გამგეობის კარებთან...

დეგ მოახსენეს, ციხეში დაფლულია ქონებაო (пожитки). აფიცრებს უბრძანა, მომგვარეთ ტყვე ოსმალონი და ათქმევინეთ—სადაა დაფლული ქონება და განძიო. ამასთანავე შეუბრალებლად სცემდნენ თასმებითა და მათრახებით (били нещадно батожьемъ). ასეთს ულმერთობას, მგონია, თვით ოსმალონიც არ ჩაიდენდნენო. სალდათები-კი ფეხ-შიშველნი არიან, მარილი და საჭმელი არ მოეპოვებათ; ამისთანა გაჭირვებაში თავის დღეში რუსის მხედრობა არ ყოფილაო, დასძენს იაზიკოვი. ყველა ეს უბედურება შედეგია ცუდის წესისა და გამგეობისა. აქ, ტკბილის სიტყვით პურს, რამდენსაც გინდა, იმდენს იშოვნი, დავი-დარაბის გამო-კი პურს არავინა ჰყიდისო“ 43).

ქუთაისის ციხე იერიშით აიღეო, იწერებოდა ტოტლებენი პეტერბურგს. გამარჯვების ნიშნად (სამხედრო ტროფეი) ტყვენი გაჰგზავნა, ნახევარი დედა-კაცნი და ბავშვები იყო.

ამ გვარად გრაფმა ტოტლებენმა ვერც ქართლსა და ვერც იმერეთს თავისი სახელი შარავანდედით ვერ შემოსა. ფოთთან, მართალია, ხუთი ოსმალო მოჰკლა, მაგრამ ოსმალოთაც ხუთის მაგიერ ასი ჯარის-კაცი მოუკლეს.

სულ ესაა სამხედრო ღვაწლი ტოტლებენისა. როგორცა ჰხედავთ, შიგ ბევრი არა ჰყრია-რა. იგი ფუყეა, როგორც ლაყე კვერცხი. ამ არარაობას ბ-ნი ლინდაცა ჰხედავს, მაგრამ ჩვეულებრივ სხვა ნათელს აყენებს და ტოტლებენის გამურულ სახის გასათეთრებლად ისევ ძველ, დაჟანგებულ იარაღს მიჰმართა, ესე იგი სწვდა ქეჩოში ანტონ მოურავოვს და ქართველ ისტორიკოსებს და ზურგზე ბოლი აადინა.

ქართველები უხვად რომ არ უზიდავდნენ რუსის მხედრობას საზრდოსო, ჰბრძანებს ბ-ნი ლინდა, ცოტა არ იყოს, თვით ტოტლებენიცაა დამნაშავეო. ფიცხისა და მოუხეშავის ზნისა იყოო, უბრალო საქმეს ისე გააზვიადებდა, თითქოს ქვეყანა იღუპებოდაო. მაგრამ, ჩვენის აზრით, უმთავრესი დამნაშავე, რომ მეფეები და ტოტლებენი წაიჩხუბნენო, ჩვენივე რწმუნებული, მკვიდრი ქართველი (природный грузинъ), თავადი მოურავოვი იყოო. მოურავოვი პირადი მტერი იყო ტოტლებენისა, ბრძანებს ლინდა და ამის გამო კანონიერ და სამართლიან მოთხოვნილებასაც არ უსრულებდაო 44).

რომ იტყვიან, ჩაასცივდა საკირესაო, სწორედ ასე მოსდის ბ-ნ ლინდას. ამ დალოცვილის შვილმა ყურები გამოგვიჭედა „ქართველობისა“ და „პირადი მტრობის“ ძახილით. ვინც-კი სიმართლეს იტყვის ტოტლებენზე, მაშინათვე ლინდა ასეთ მთქმელს ბეჭედს მიაკრავს: „შენ მკვიდრი ქართველი, ან პირადი მტერი ხარო“, მორჩა და გათავდა. კარგი, ვსთქვათ, მოურავოვი ქართველი იყო, იაზიკოვი და ლვოვი? ესენიც ქართველები იყვნენ? მაგრამ ამაოდ ვცდილობთ ლინდას მორჯულებას, რადგან—ვერ გათეთრდება ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა.

„შიმშილის შიშმა“ აიძულა ტოტლებენი აწყურიდგან გამოტრიალებულიყოო, ბრძანებს ლინდა. ეს ყველაზედ კარგად თ. მოურავოვმა იცოდა, მაგრამ მაინც გარეშე საქმეთა სამინისტროს იმასა სწერდა, რომ რუსების უცბად გამოტრიალების მიზეზი აწყურიდგან მეფე ერეკლესა და ტოტლებენის ჩხუბი იყოვო. მოურავოვი მეგობრულ, ამხანაგურ დახმარებასაც („товарищеской поддержки“) კი არ უწევდა ტოტლებენსა, რუსის კორპუსის სასარგებლოდ-კი არ ჰმოქმედებდა, სულ იმის ცდაში იყო, რომ როგორმე ეწყენინებინა და გული მოეკლა ტოტლებენისათვისაო (досадить Тотлебену). *)

რაც სიმართლეა ბ-ნ ლინდას სიტყვებში, ჩვენ უკვე ვიხილეთ და კამათს აღარ დავუწყებთ. კედელზე ცერცვის შეყრა გამოვა.

თ. მოურავოვია დამნაშავე, რომ ქართველმა ისტორიკოსებმა შესთხზეს ზღაპარი (легенда), ვითომ ტოტლებენმა განზრახ (умышленно) დაანება თავი ერეკლეს ასპინძასთან იმ მოსაზრებით, რომ ერეკლე დაიღუპება და მერე ადვილად ჩავიგდებ ხელში იმის სამეფოსაო 45).

ერთი ვკითხოთ ბ-ნს ლინდას, რატომ პოტტო არ მოიშველია? ესეც ხომ ქართველი ისტორიკოსი არ არის? მიზეზი უბრალოა. პოტტოს წიგნში ტოტლებენი ისეა დასურათებული, როგორც სინამდვილეს შეეფერება, ესე იგი დამთხვეულად, გადარეულად, თავზე ხელ-აღებულად და, ვიტყვით თამამად, ავაზაკად. ამისთანა წყაროთი ვერ ისარგებლებს ბ-ნი ლინდა, რაკი თავისი უნდა გაიყვანოს და ტოტლებენი გაათეთროს. იმასაცა ვფიქრობთ, რომ ეგებ ლინდას ზ. ავალიშვილის წიგნიცა აქვს წაკითხული, მაგრამ ჰმალავს, რადგან სასიამოვნოს ამ წიგნში ვერას ჰნახავდა. ავალიშვილს ასეთი ფრაზები აქვს ნახმარი: „пресловутый Тотлебенъ“, „превратныя сообщенія Тотлебена“, „недобросовѣстныя донесенія Тотлебена“ 46). რაღა თქმა უნდა, რომ ამისთანა მკვახე სიტყვები გუნებას გაუფუჭებდა ლინდას და აკი არ მოიშველია ავალიშვილის წიგნი.

ბოლოს ბ-ნი ლინდა ასეთ ლათაიას მოგვითხრობს: „მიუხედავად იმისა, რომ 1769—1771 წ. ლაშქრობამ საქართველოში თვალსაჩინო სამხედრო ნაყოფი ვერ მოიტანა, ქართველებს ნამდვილად დაანახვა მიუწდომელი ძალა (რუსულად „мощь России“) რუსეთისა, რომლის წარმომადგენელად იყო ერთი მუჭა რუსის ჯარიო“ 47).

ლინდას სამის წერილის დასკვნა, ანუ დედა-აზრი, სწორედ ეს არის. თუ-კი ამაზე მეტს ვერას იტყოდით, თავს რაღაზე იწუხებდით, ბ-ნო ლინდა, ან ჩვენ რაზედ მოგვაცდინეთ? განა, ან მაშინ ან ახლა, რომელსამე ქართველს ეჭვი ჰქონდა, ან აქვს, რომ რუსეთი ძლიერია, რომ მისი „мощь“ თვალ-საჩინოა? ასეთი რწმენა რომ არა ჰქონოდათ ქართველებს, ხომ მეფენი ერეკლე და გიორგი აღარ მიეკედლებოდნენ რუსებს და საქართველოსაც არ დაუთმობდნენ სამუდამოდ. ეს რწმენა იყო მიზეზი, რომ ქართლის მეფეთ თავისი სამეფო რუსეთს მიართვეს, თორემ ოსმალონიც და განსაკუთრებით ყიზილბაშნიც ფრიად საყურადღებო პირობას აძლევდნენ საქართველოს მეფეთა—ოღონდ მოჰშორდით რუსებს, თავი დაანებეთ მაგათაო და, რაც გინდათ, იმას აგისრულებთო. ეს რწმენა იყო მიზეზი, რომ საქართველოს მეფეთ არ შეისმინეს მეზობელ სახელმწიფოთა რჩევა. მაშ, აქ ტოტლებენი რა მოსატანია? საიდან სადაო, წმინდა საბაო! *)

ა. ფრონელი.

(დასასრული იქნება)

---

43) იხ. Потто, Ист. очеркъ... стр. 114; Грамоты...- т. I, გვ. 180—183.

44) იხ. „В. Сб“.. № 12—1901 წ. გვ. 75—76.

*) ib. გვ. 76;

45) 45 ib. გვ 76.

46) იხ. ზ. ავალიშვილი. «Присоединеніе Грузіи къ Россіи», გვ. 102, 106.

47) იხ. „В Сб.“ № 12—1891 წ. გვ. 77.

*) ტოტლებენის კორპუსი უაზროდ დატანტალებდა ამერ და იმერ საქართველოს ველ-მინდვრებში. სად, ან როგორ გამოიჩინა სიმტკიცე და სიძლიერე (мощь), ისტორიულ წყაროებიდგან არა სჩანს. მაშინ მგონი რუსის მოხელენი სწუხდნენ, რომ ტოტლებენმა მხედრობას სახელი გაუტეხაო.

თან არქიტექტორის მოლოდინში და ეკლარის საქმეც კარგად წავიდოდა მის მეთვალყურეებით. ამით ქალაქს ხარჯი დიდი არ მოემატებოდა და ეკლარის შემოსავალი-კი, თუ არ გასამკეცდებოდა, გაორკეცდებოდა მაინც. ინჟენრები-კი, მადლობა ღმერთს, ეხლა ქართველებს სხვაგან საძებარი არა გვყავს მაინცა-და-მაინც.

ვიცი, ბევრი იტყვის, ვითომც მე ჩემი კუჭის ტკივილი მალაპარაკებდეს, მაგრამ შემიძლია დავარწმუნო ბ-ნი მ. დარახველიძე და სხვებიც, რომ აქ ამგვარ მოსაზრებას ადგილი არა აქვს. მიკვირს, რა საბუთით ჰხელმძღვანელობდა ბ-ნი მ. დარახველიძე 18 მარტის სხდომაზე, რომ ლაპარაკობდა: „Завѣдывающій въ двѣ недѣли разъ наѣзжаетъ городскія имѣнія.» ყოველ დღე დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე ქალაქის გამგეობაში ვმუშაობ (მართალია, ჯერ იქ ბევრი საქმე არა მაქვს, მაგრამ ამის მიზეზი ეკლარის საქმის მოუწყობლობაა); ნაშუადღევის 4 საათიდან-კი საღამოს 7—8 საათამდე თითქმის ყოველ დღე ცხენზე ვარ გაკრული და ხან სალორიის ტყეში დავრბივარ და ხან ეკლარაში. ნეტავი, ამას ჰქვიან „наѣзжать въ двѣ недѣли разъ городскія имѣнія.“ ამას, მგონი, ეს არ უნდა ერქვას და ბ-ნ მ. დარახველიძის უსაფუძვლო საყვედურს-კი მეტი რომ არ ვსთქვათ, ცილის წამება ჰქვიან. მე არც ბ-ნ დარახველიძისათვის მითხოვია მფარველობა, არც სხვა ხმოსნებისათვის, არც გამგეობისათვის მომიბეზრებია თავი, რომ ჩემთვის მოეცათ ეს ადგილი; და თუ ჩემს მყუდრო ცხოვრებას თავი დავანებე და სკამიდან ერთბაშად ცხენზე შევსკუპდი, ამის მიზეზი ერთი ის იყო, რომ ქალაქის გამგეობამ ნდობა გამომიცხადა და თვითონ მიმიწვია ამ ადგილზე; მეც ეგ ნდობა დავაფასე და რაც შემიძლია, ვცდილობ ამ ნდობის საქმითაც დამსახურებას; მეორე მიზეზი იყო ის, რომ მობეზრდა მუდამ ოთახის დახშულ ჰაერში ჯდომა, მუდამ accusativus cum infinitino-ს სწავლება, მომესურვა გარედ გამოხედვა და წმინდა ჰაერით დატკბობა; და მესამე რაღა დავმალო, მეგონა თუ ერთგულად ვიმუშავებ, დააფასებენ ჩემს შრომას და ჯილდოსაც დავიმსახურებ-მეთქი, თორემ ხუთი-ექვსი თუმნისთვის არც ტყე-ღრეებში ვირბენ და არც სასაყვედუროდ გავიხდი თავს: ისევ დავუბრუნდები ჩემს წიგნებსა და მოწაფეებს და, თუ ფიზიკურად დავისჯები, ზნეობრივ მაინც დაჯილდოვებული ვიქნები. ასეა თუ ისე, მე არავის თავს არ ვაბეზრებ და, თუ ჩემი სამსახური ქალაქისათვის საზარალოა, ხელად ავიკრეფ ჩემს ბარგი-ბარხანას და წრფელის გულით ვასურვებ, რომ ქალაქს ჩემზედ უფრო სასარგებლო კაცი მოენახოს, მხოლოდ ბ-ნ მ. დარახველიძეს-კი მისთვისაც უსამართლოდ ცილი არ დაეწამებინოს.

ბოლოს ბოდიშს ვიხდი პატივცემულ მკითხველთან, რომ საგანს ძლიერ დავშორდი და, მგონი, ჩემდა უნებურად თავის ქებაც-კი მომივიდა,—რომლის ღირებულება მეც კარგად ვიცი,—მაგრამ რა ვქნა: რომ არაფერი მეთქვა, ზოგიერთებს სიჩუმე თანხმობის ნიშანი ევონებოდა.

რაც შეეხება ისევ ეკლარას, ამ დღეებში დანიშნულ კომისიას ექმნება სხდომა, რომელიც გადასწყვეტს ეკლარის ბედ-იღბალს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კომისია ყოველის მხრით გაჰზომავს საქმეს, წარმოიდგენს მის მომავალს და გულწრფელად, როგორც ქალაქის ნამდვილ პატრონთ და ჭირისუფალთ შეეფერებათ, ისე მოიქცევიან.

დ. ავალიანი.

ღია წერილი გ. ს. ჭეიშვილს

16 იანვარს შემდგარმა საზოგადო კრებამ გურიის ს. ს. ამხ. „შუამავლისამ“ პატივი მცა და ამირჩია მე გამგეობის წევრად დ. ლანჩხუთში. რადგან ხსენებული კრება, ჩემის აზრით და სხვა მრავალთა წევრთა აზრითაც, უკანონო იყო და მე არ მსურს ვიყო არჩეული უკანონო კრების მიერ, ამისთვის მე შევიტანე გამგეობაში უარის ბარათი. ეხლა-კი, როგორც სარწმუნო წყაროებიდგან გავიგე, თქვენ თუ სხვას ხმები გაუვრცელებია, ვითომც მე შემომეტანოს მეორე განცხადება, რომლითაც უარი მეყოს პირველი. რადგან ყოველივე ეს მტკნარი სიცრუე განზრახ შეთხზულია, გთხოვთ ესე ვითარი ბრალი ამყაროთ.

ვლადიმერ კ. კანდელაკი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

26 მარტი.

პეტერბურგი. „კანონთა კრებულში გამოქვეყნებულია დებულება 50 ათ. მან. თანხის შესახებ, რომლიდგანაც შემწეობა უნდა მიეცეს სამხედრო-საექიმო აკადემიის ღარიბს სტუდენტებს. თანხას ეწოდება სახელად «თანხა იმპერატორ ნიკოლოზ მეორისა.»

რიაზანი. ფინანსთა მინისტრის განკარგულებით ქალაქის ბანკში დანიშნულია რევიზია.

სევასტოპოლი. „რუსეთის საზოგადოების“ გემი „იმპერატრიცა მარია» სევასტოპოლიდგან ოდესაში მიმავალი დაეჯახა ხომალდს, რომელიც დაიღუპა. კაცი არავინ დამრჩვალა.

კალუგა. დამტკიცებულ იქმნა ანგარიში ქალაქის საურთიერთო დაზღვევის საზოგადოებისა; შარშან მოგება 22,447 მან. იყო.

ურალსკი. გასულს წელს მართლმადიდებლობას შეუერთდა 567 რასკოლნიკი.

ბრიუსელი. ნაციონალურ ბანკში აფეთქება მოხდა დინამიტით. არავინ დაჭრილა. დამნაშავენი ჯერ ვერ შეუპყრიათ.

პარიჟი. მთავარმა საბჭოებმა გუშინ გადასწყვიტეს მისალოცი ადრესები მიართვან ლუბეს რუსეთში გამგზავრების გამო. მაგალ. ბელფორის საბჭომ ერთხმად დაადგინა შემდეგი ადრესი: „იმყოფება-რა ღრმა შთაბეჭდილების ქვეშ რუსეთის იმპერატორის ნახვის გამო, საბჭო ულოცავს პრეზიდენტს დიადს შემთხვევას, რომელიც უფრო განამტკიცებს საფრანგეთის დიდებას.“ კალვადის, ლუარის შერის, პა-დე-კალეს და სხვა დეპარტამენტების საბჭონი ამბობენ, რომ ეს მოგზაურობა კიდევ უფრო გაამაგრებს ორ ერთა კავშირს.

პეტერბურგი. კერჩის სამეტალურგიო საზოგადოებამ მიჰყიდა ინგლისს 24 ათ. ტონნი თუჯი; ეს პირველი მაგალითია, რომ ამდენი რუსული თუჯი გაგზავნილიყოს უცხოეთში.

27 მარტი.

პეტერბურგი. უმაღლესის ბრძანებით სენატის სახელზე, გამოცემულით ვილნის რომის კათოლიკეთა ეპისკოპოსი ზვეროვიჩი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან.—კვანტუნის ოლქის შტაბის უფროსი იტყობინება, რომ 13 მარტს მდინარე ლია-ხეს მარცხენა ნაპირას ხუნხუზების 600 კაცის ბრბო თავს დაესხა პოსტას, რომელიც დაყენებული მდინარეზე გემების მიმოსვლის დასაცველად; პორტმა იერიში მიიტანა ბრბოზე და გაანდევნა ჩინელები, რომელთაც მოუკლა 20 კაცი; ჩვენ მოგვიკლეს ორი უნტერ-ოფიცერი და დაგვიჭრეს ფოსტის უფროსი—ბელოხოვი, ერთი უნტერ-ოფიცერი და სამი მეომარი.—„პრავ. ვესტ.“-ში მოთავსებულია 22 მარტს უმაღლესად დამტკიცებული დებულება უმაღლესად დაარსებულის განსაკუთრებულის კომისიის სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის შესახებ, რომელთაც განსაკუთრებულის კომისიისათვის ცნობათა შესაკრებლად და მოსაზრებათა წარსადგენად გუბერნიებში და მაზრებში არსდება ადგილობრივი კომიტეტები; კომიტეტს უნდა დაედვას საფუძვლად შემდეგი: იმ გუბერნიებში, სადაც არსებობს სათავად-აზნაურო არჩევნები და ერობა, საგუბერნიო კომიტეტები შესდგება გუბერნატორების თავმჯდომარეობით საგუბერნიო და სამაზრო მარშლებისაგან, საგუბერნიო საერობო გამგეობის თავმჯდომარეებისა, სახაზინო პალატას და სახელმწიფო ქონებათა უფროსებისაგან, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა თავმჯდომარეთა, სასოფლო-სამეურნეო ნაწილის რწმუნებულთა და ყველა იმ პირთაგან, რომელთა მოწვევას საჭიროდ დაინახავს საქმისთვის გუბერნატორი ან განსაკუთრებული კომისია; სამაზრო კომიტეტები იმავე გუბერნიებში შესდგება სამაზრო მარშლების თავმჯდომარეობით სამაზრო საერობო გამგეობის თავმჯდომარესა და წევრთა და იმ კაცთაგან, რომელთა მოწვევას სასარგებლოდ დაინახავს სამაზრო მარშალი. ნება ეძლევა განსაკუთრებულის კომისიის თავმჯდომარეს და შინაგან საქმეთა და მიწათ-მოქმედების მინისტრებს ერთმანეთთან შეთანხმებით დაადგინონ, თუ ვისგან უნდა შესდგებოდეს საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტები იმ გუბერნიებში, სადაც არ არის შემოღებული სათავად-აზნაურო არჩევნები ან ერობა, აგრეთვე თუ ამ გუბერნიათა შორის რომელს ადგილებზე იქმნას გავრცელებული ხსენებული დებულება ადგილობრივ კომიტეტების შესახებ.—გამოქვეყნებულია სია იმ გუბერნიებისა და მაზრებისა, რომელშიაც არსდება საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტები.—„პრავიტ. ვესტ.“-ში დაბეჭდილია: დიდს უმრავლესობას იმ პირთა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს 9 და 17 თებერვლის არეულობაში მოსკოვში, უმაღლესი ბრძანებით გადაწყვეტილი ჰქონდათ დაპატიმრება და ამისათვის უნდა გაგზავნილ ყოფილიყო არხანგელსკის დროებით საპატიმროში. მანამდის ისინი დაკავებული იყვნენ მოსკოვის სატუსაღოში; მაგრამ მათი ყოფა-ქცევა, რომელიც გამოიხატა იმაში, რომ მუდამ უწესოებდნენ, არ ემორჩილებოდნენ სატუსაღო წესებს და დისციპლინას, იმას ამტკიცებს, რომ ამ პირების ერთს სატუსაღოში შეკრება არა სასურველს შედეგებს იქონიებს, რაიც გამოიწვევს ახალის განსაკუთრებულის ზომების მიღებას. ამიტომ, რათა დაცულ იქმნას საპატიმროებში წესიერება და აგრეთვე დაცულ იქმნენ ცალკე ტუსაღები ამხანაგების ცუდის გავლენისაგან, ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება და ბრძანა, რომ ზემოხსენებული პირები პატარ-პატარა ჯგუფებად დანაწილებულ იქმნენ მთელის იმპერიის საპატიმროებში.

ლონდონი. მინისტრად ნამყოფი ლორდი კიმბერლეი გარდაიცვალა.

პეტერბურგი. გარეშე საქმეთა მინისტრის მიერ წარდგენილ თავ. გაგარინის შუამდგომლობაზე, რომ ხელის მოწერა გაიხსნას ნაგასაკში საზღვაო სახლის დაარსებისათვის რუსეთის შეუძლებელი ქვეშევრდომთა თავშესაფარად და რომ ეს სახლი ხელმწიფე იმპერატორმა მიიღოს უმაღლესის მფარველობის ქვეშ, მისმა უდიდებულესობამ კეთილ ინება ხელის მოწერის გახსნის ნებართვის მოცემა; ამ საქმის გამო წარდგენილ მოხსენებაზე ხელმწიფე იმპერატორმა საკუთარის ხელით დააწერა: „სიამოვნებით ვღებულობ სახლს ჩემის მფარველობის ქვეშ და ვწირავ მის აშენებისთვის 50 ათ. მ.“

პეტერბურგი. ჩვენმა ბანკმა სპარსეთში შაჰის მართებლობისაგან მიიღო კონცესია რკინის გზის გაყვანისათვის კავკასიის საზღვრიდგან თავრიზამდე და იქით კაზვინამდე.

ბლუმფონტეინი. ტიტტ დევეტი—ძმა ბურების გენერლისა, რომელიც ორანჟეს რესპუბლიკის ჯარების მთავარ-სარდლად იყო, კიტჩენერის თანხმობით ადგენს ბურთა კორპუსებს ინგლისისათვის. ვინც კორპუსებს შეუერთდება, იგი მიიღებს შემწეობას ფერმაში დასაბრუნებლად ომის გათავების შემდეგ.

ბერლინი. გოლანდიის მინისტრმა კუიპერმა ჩიკაგოს გაზეთის Daily News-ის კორესპონდენტთან გამოსთქვა თავისი რწმენა, რომ ბურებს შეუძლიანთ კიდევ 10 წელ. გასწიონ წინააღმდეგობა. ინგლისის ჯარების უმთავრესი ნაწილი იძულებულია მხოლოდ მოიგეროს მტერი. იარაღს და საჭმელს ბურები ინგლისის ღარაჯებსართმევენ.

კონსტანტინოპოლი. ადრიანოპოლის ვალი იტყობინება, რომ ბოლგარელმა ავაზაკებმა მოკლეს და დაასახიჩრეს სამი მაჰმადიანი და ბავში და გაიქცნენ ბოლგარიაში.

პეტერბურგის ბირჟა, 23 მარტი.

ვექსილის კურსი 9 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,05	
ბერლინში 100 მარკაში	—	
პარიჟში 100 ფრანკში	—	
ლონდონში ჩეკები	94,75	
ბერლინში ,,	46,30	
პარიჟში ,,	37,65	
ბირჟის დისკონტი	4½—6½	
4% სახელმწიფო რენტა	96⅝	გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	98¾	„
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	—	
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	464	წვრ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	351	—
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	303	გაყიდ.
4½% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—	
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—	
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.		
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—	
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—	
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.		
აქციები ,,		
,, კასპიის ამხანაგობისა.	—	
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—	
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—	

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით).

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 54 წ. (8 ს. 52 წ.) ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)

ტფილისიდგან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 56 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 9 ს. 36 წ. (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ტფილისიდგან ყარსში:

ფოსტის მატარებელი № 58—59 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 28 წ. (1 ს. 21 წ.)

ბათუმიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 45 (11 ს. 43 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ., (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ოთხშაბათობით, ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს. 39 წ.), ტფილისში ჩამოდის დღის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3, ღამის 12 ს. 2 წ. (1 ს.). ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 5, დღის 3 ს. 35 წ. (49ს. 33 წ.), ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ. (ს. 48 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 66, ღამის 1 ს. 50 წ. (2 ს. 48 წ.).

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 60—61 დილის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.) ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 47 წ. (7 ს. 45 წ.).

ქუთაისიდგან ბაქო-ტფილისისაკენ: 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდგან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევს 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

ქუთაისიდგან ბათუმში:

1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდგან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

განცხადება

ამერიკულ ვაზის სანერგეში
კლო-ქვურული

სოფ. დიმში, ქუთაისის მაზრაში, ისყიდება კიდევ რამდენისამე ჯიშის დამყნული ფესვ-გაკეთებული ვაზი—ადგილობრივი, ბურგუნდიისა, შამპანიისა, სახარჯო და სხვ. გიბრიდები (დაუმყნელად მსხმოიარე) სეიბელ, კუდერი და სხვ., რომელთაც ობი არ ეკიდება და მაღლარისათვის ვარგანან. ადრესი წერილებისა და ტელეგრამებისათვის. В. Тьебо.
Кутаисъ.
(1—1)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი:
ყოვლის მხრიდან
ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოლელისა
ფასი 10 კ.
და
მოთხრობანი
დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

„GRAND PRIX“
PARIS 1900.
Т-во Высшей парфюмеріи
А. Ралле и К-о
«Кремъ-Ралле»
Лучшій
„Кольдъ-Кремъ“.

წერაკითხვის საზოგადოების წიგნის-მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი	15 კ.
ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა	15 ,,
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი	5 ,,
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა	30 ,,
აბო ტფილელი, ე. კ.	30 ,,
Або Тифлисскій, Е. К.	5 ,,
ამბავი მდლის ქვისა	5 ,,
აკიდო საყმაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშვ.	15 ,,
ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი	1 მ. 50 ,,
ბერანჟე, თარგ. გ. გვაზავასი	40 ,,
ბენია	10 ,,
ბუნების საოცარი მოვლენანი, ს. ჯუღელისა	15 ,,
ბაში-აჩუკი, აკაკისა	30 ,,
ბუნება სურათებში, ა. [illegible]	1 მ. 30 ,,
გლეხი-კაცის ისტორია, III-IV ტ.	1 მ. 20 ,,
გამზრდელი, აკაკისა	5 ,,
გასართობი	10 ,,
გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—სა	15 ,,
[illegible] ვაზა	3 ,,
Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ	60 ,,
გიორგი და მიხეილი	10 ,,
Древный Анчисхатскій соборъ.	
ქართველი წმიდანები, გ. [illegible]	,, 40
შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძისა	,, 30
ბაბუა, ვ. აბაშიძისა	1 ,,
ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძისა.	
Царица Тамара, М. Джанашвили	,, 50
ცისარტყელა, ავ. ცაგარელისა	,, 30
ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილისა	1 ‘‘
Характеристики и воспоминанія Г. Туманова	,, 50
Карбеловъ	,, 20
დედა, ანდერსენისა	8 ,,
დამოხნულნი, თარ. თ. სხოკასი	1 მ. ,,
დაუჯდომელი წმ. ნინოსი	20 ,,
Двѣ святыни въ Кахетіи, Е. К.	10 ,,
Давидъ Гареджели, Е. К.	15 ,,
ეტიუდები, ი. ხუსკივაძისა	15 ,,
ელდე, მოთხრობა	5 ,,
Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили	40 ,,
Назрѣвшій вопросъ, Е. К.	20 ,,
ოცი წლის წინედ, გ. წერეთლისა	5 ,,
Очерки по истор. Грузин. словесности, т. III Хахановъ	3 ,,
პატარა ლორდის თავგადასავალი	30 ,,
პატარა ვეფხვის ტყაოსანი	25 ,,
რამას განდევნა, თარგ. ალ. ს—შვილისა	40 ,,
სიტყვიერების თეორია, ევ. კირიონისა და გრ. ყიფშიძისა	1 ,,
სპარტაკი, თარგ. ნ. ყიფიანისა	60 ,,
[illegible] დღესასწაული	25 ,,
Въ Барсовой кожѣ, Мкинвари	1 р. ,,
ზურაბის კოშკი, ივ. ბ—ძისა	3 ,,
Заслуги Грузинскаго монашества, Е. К	30 ,,
თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი	1 მ.
თეორია სიტყვიერებისა, კელენჯერიძისა	40 ,,
თამარ-დედოფლის სამკაული	10 ,,
თამარ დაზნელი, ან. ფურცელაძისა	50 ,,
ისტორია ქართულ სტამბებისა	15 ,,
იანიჩარიდ., ნახუცრიშვილისა	40 ,,
კონსპექტები საქართველოს ისტორიიდგან I—II ნაწ. ქუთათელაძისა	60 ,,
სამეგრელოს აღწერა, თარ. ა. ჭყონიასი	1 ,,
სამხრეთი საქართველო, ზ. ჭ-სა	,, 30
საყმაწვილო ამბები, ეკ. გაბაშვილისა	,, 50
სუმბული, ს. ქვარიანისა	,, 20
ტარტიუფი, თარგ. ივ. მაჩაბლისა	,, 50
უკვდავთა დღესდებანი, მ. ჯანაშვილისა	,, 15
ქართული სახალხო სიმღერები, ი. კარგარეთელისა	,, 50
ქრისტინე, ე. ნინოშვილისა	,, 20
ქართული მწერლობა, მ. ჯანაშვილისა	,, 40
ქეთო და სოსო, საყმაწვილო მოთხრობა	,, 5
ქართველების გათათრება, ზ. ჭ—ისა	,, 25
კოპერნიკიდან დარვინამდე	10 ,,
განდეგილი, მ. ღლაშვილისა	15 ,,
Краткій очеркъ исторіи Грузинской церкви, Е. К.	1 р. 50 к.
Краткій очеркъ Грузинской народной музыки, И. Каргаретели	30 ,,
კუპიკები ქართულის ანბანისა	1 მ. 20
ლექსები განდეგილისა	,, 50
ევდოშვილისა	,, 50
რ. აბაშიძისა	,, 60
დ. გაბრიაშვილისა	,, 25
მელის წიგნი, კ. თაყაიშვილისა	,, 40
მუშათა კითხვა	,, 15
მოგზაურობა იერუსალიმში, დეკ. პ. ყონჩოშვილისა	1 ,,
მოძღვრებანი, ი. გამრეკელისა	,, 40
მეცნიერებისთვის წამებულნი	1 ,,
Мцхетъ и его Соборъ, А. Натроева	1 50
ნელი და პატრაში, თრ. ეკ. წერეთლისა	,, 10
ნათელა, აკაკისა	,, 20
ნიკოლოზ ნიკოლაძე, ზ. ჭ—ისა	,, 20
ნამდვილი სამსახური პოტაპენკოსი	,, 40
Новая постановка педагогическаго дѣла	,, 20
სამი პოემა, ან. ფურცელაძისა	,, 50
სხივი წარსულისა, ი. გოგებაშვილისა	,, 5
საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა, ი. გოგებაშვილისა	,, 10
სახუმარო გასართობი	,, 10

Дозволено цензурою. Тифлисъ 27 мар. 1902 г. Типографія А. М. Сударевой, въ Тифлисѣ, Дворц. ул., д. груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი. გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.